ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ზურაბ ზვიადაური: „ქევხიშვილს უნდა წასვლა, მაგრამ ვილაც-ვილაცები არ უშვებენ“ გვ.3




25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი






ორშაბათი, 28 მაისი, 2018 №124 (7669) ფასი: 50 თეთრი


# ნუ მომკლავ!

## ზაზა სარალიძემ რუსთაველზე აქცია გამართა






გვ.3

„დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, რომ ხვალ არ გაგრძელდეს ახალგაზრდების მკვლელობა“

გურამ დონაძე სოზარ სუბარს ბრალს სდებს: „შენი ბიძაშვილის ბრძანებით დათუნა და ლევანი ხორავას ქუჩის ფარდულში დაკლეს და სუბელიანი ხელშეუხებლობის გარანტიას შენგან იღებდა“



გვ.7

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები ისევ რუსული საქმის კეთებისკენ მოგვიწოდებენ“ გვ.2





კონსტანტინე გამსახურდია: „ევროპულმა საქართველომ“ ნაციონალებს მეორე ადგილი წაართვა“ გვ.3

სამართალი გვ.7



ზუგდიდში თიბისი ფეის ინკასატორს 120.000 ლარი გასტაცეს



ჟურნალისტი ნოდარ ჩაჩუა დააკავეს



ტარიელ კაკაბაძე: „დავით სარალიძე წარმოდგენილი დანებით არ არის მოკლული“

ეკონომიკა გვ.5

ათი ყველაზე პოპულარული იდეა, რომლებითაც თბილისელები კახა კალაძეს მიმართავენ





გვ.6 როგორ იყოფა მეუღლეთა საერთო ქონება და ვალი განქორწინებისას



ბორჯომ-ბაკურიანის სასტუმროებში ნომრების 50%-ზე მეტი დაჯავშნილია გვ.4


ISSN 1987-9385


4 ზუგდიდში დადიანების მუზეუმის ეზოს ნაწილი აუქციონზე იყიდება

2 ავთანდილ ჭრიკიშვილი: „ყველანაირ პოლიტიკურ ძალას ვემიჯნებით“

2 ილია მეორე: „უხეშად არ უნდა შევეხოთ სარწმუნოებას. ეს არ რჩება დაუსჯელი“

4 ოკუპირებულ აფხაზეთში შვეიცარიელი დამკვირვებლების მხრიდან ტვირთების კონტროლს აპროტესტებენ

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები ისევ რუსული საქმის კეთებისკენ მოგვიწოდებენ“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, ორიოდე დღის წინ ჩვენმა ქვეყანამ პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილე იზეიმა. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველო. რამდენად ვართ ევროპის ღირსეული ნაწილი?***

– ჩემმა შეფასებამ როგორ შეიძლება აჯობოს იმას, ვის ნაწილზეც ვლაპარაკობთ. ევროპა ლაპარაკობს, რომ საქართველო თავის წარსულთანაც და კიდევ სხვა მოთამაშეებთან შედარებით ყველაზე უფრო ახლოს არის ევროპასთან. მოწვეული სტუმრების დიდი ნაწილი რუსეთთან შეურიგებელი ქვეყნებია, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით უფრო რადიკალურები არიან რუსეთის მიმართ. აი, როდესაც ეს ქვეყნებიც თვლიან, რომ შენ სწორად ვითარდები და რადიკალიზმს რუსეთთან ურთიერთობაში უფრო მეტს, ვიდრე გაქვს, არ მოითხოვენ, ესეც ნიშნავს, რომ განვითარების ასეთი სტილი ჯდება ევროპულ სტანდარტებში.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– მე ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ ევროპული სტანდარტების შეფასება ამ შემთხვევაში გულისხმობს როგორც შიდა მდგომარეობის, ისე საგარეო ურთიერთობებში საქართველოს მიერ წარმოებული პოლიტიკის შეფასებასაც და ეს მიმაჩნია ყველაზე კარგ სიგნალად იმისა, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის.

***– ანუ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სწორი ნაბიჯები გადაიდგა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით?***

– სწორი ნაბიჯები, სწორი სტილი, სწორი ინტონაცია მოიძებნა, რომელიც პრინციპულობასაც ინარჩუნებს და საბაბს არ იძლევა დამატებითი გართულებისთვის. აგერ ვხედავთ, რა ურთიერთობა აქვს დასავლეთს რუსეთთან დღეს. რუსეთის ეკონომიკურ ფორუმზე დასავლეთი ჩაერთო, კრიტიკულ დიალოგში, მაგრამ დასავლეთი ჩაერთო, ანუ მუშტების ქნევა არ არის ევროპული სტილი.

არის მეორე პოზიციაც საქართველოში, რომ ანგარიში უნდა გავუწიოთ რუსეთს. მე დღეს, ამ 100 წლისთავის იუბილეზე, მინდა, ეს პოზიციაც ვახსენო, იმიტომ რომ ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ხაზი არის მტკიცე ევროპული ორიენტაცია და ეს ფასდება ჩვენი სტუმრების მიერ. რადგან პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავია, გავიხსენოთ, რა მოხდა მაშინ.

***– იმდროინდელ პოლიტიკას გულისხმობთ რუსეთთან მიმართებით?***

– სწორედაც რომ. იმ დროს საქართველომ დასავლეთზე უარი თქვა რუსეთისთვის ამ ანგარიშის გაწევის გამო. ბევრ საკითხში ანგარიში გაუწია რუსეთს. მერე 70 წელი რომ ველარ გავიმართეთ წელში, ამ ისტორიამ გვანახა, რომ რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა, შესაძლოა, კატასტროფული შეცდომა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც პარტნიორად ჩანს ევროპა. მაშინაც ევროპა მოდიოდა პარტნიორობაზე. უბრალოდ, რომ შეამჩნიეს, ჩვენ არ გვინდოდა ეს პარტნიორობა, დიდი ინტერესი არც მათ ჰქონდათ. ახლა დასავლეთის ინტერესი გაცილებით მეტია.

***– ეს უფრო პირადი ინტერესი ხომ არ არის?***

– ცხადია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე აინტერესებს მას საქართველო, მაგრამ ჩვენი პოლიტიკაც არის ამის ხელშემწყობი უდავოდ და ამ 100-წლიანი ისტორიით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სწორი პოლიტიკაა.

***– წინა პლანზე უნდა დადგეს ევროპული ორიენტაცია და ღირებულებები და რუსეთს ანგარიში არ უნდა გავუწიოთ?***

– დიახ. ამ მეზობლისთვის ანგარიშის გაწევა ძალიან სახიფათოა ხოლმე! რუსეთზეა ორიენტირებული, მაგალითად, ირანი. ისე ბომბავს ახლა ისრაელი, რომ რუსეთი გასუსულია, ხმას არ იღებს. რუსეთზეა ორიენტირებული ჩვენი რეგიონიდან სომხეთი. ისე წაართვა სომხეთს სუვერენიტეტი, რომ რა დარჩა სომხეთს სათავისოდ, თვითონ სომეხი ანალიტიკოსები თავს იმტვრევენ და ვერ უპოვიათ.

***– ოპოზიცია ხელისუფლებას გამუდმებით ლანძღავს და პრორუსულ ძალად მოიხსენიებს. მის ორიენტაციაში რუსულს უფრო ხედავს, ვიდრე ევროპულს. ამაზე რას იტყვით?***

– ოპოზიცია დაინტერესებული მხარეა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო რადიკალური ქვეყნების ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ საქართველოში, რუსეთის მიმართ ყველაზე უფრო რადიკალური დამოკიდებულების მქონე. ამ ქვეყნების ხელმძღვანელები გვეუბნებიან, რომ ნორმალურად მიდის პროცესი.

***– წინა ხელისუფლება გაცილებით რადიკალური იყო რუსეთთან მიმართებით.***

– ამაზე უფრო რადიკალური როცა არის საქართველო და იყო 2008 წელს, ამის შედეგი ჩვენც მივიღეთ, მაგრამ ევროპამაც მიიღო, ბეწვზე გადაურჩა რუსეთთან მესამე მსოფლიო ომს. ამდენად, ევროპული განვითარებისთვის რადიკალური დაპირისპირება, მით უმეტეს ამ პირობებში, სრულიად მიუღებელია. ოპონენტებისგან ამის მოთხოვნა კი მხოლოდ მათ პარტიულ ინტერესებს მიეწერება.

რაღაცით უკმაყოფილო და კრიტიკულები ხომ უნდა იყვნენ და სხვას ვერაფერს პოულობენ, როგორც ჩანს. აი, ამ კუთხით გასათვალისწინებელია დასავლეთის ერთ-ერთი მოტივი.

***– რა მოტივზე საუბრობთ?***

– დღეს მთელი დასავლეთი, ამერიკით დაწყებული, იმავე აღმოსავლეთ ევროპით დამთავრებული, ადგას ერთ სტრატეგიას – ეკონომიკურად დაასუსტონ რუსეთი საიმისოდ, რომ შეამცირონ რუსეთის მხრიდან ძალისმიერი მოქმედების რისკი. ეკონომიკურად დასუსტება კი ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ყველა აწარმოებს. ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ იქ ნავთობის ფასები, შეიარაღებაზე აქცენტი, ბევრი სხვადასხვა თვალსაზრისით არის შეტევა რუსეთის ეკონომიკაზე.

***– მუშტების ქნევის გარეშე?***

– ეს პროცესი გამორიცხავს მუშტების ქნევას. ცდილობენ, ისე მიიყვანონ ეს პროცესი დამთმობ პოლიტიკამდე, რომ მუშტები არ უქნიონ, ანუ ძალით კი არ დააშინონ, არამედ ეკონომიკური ძარღვი გამოაცალონ. ამ ფონზე მუშტების ქნევა ისევ რუსეთის ინტერესებშია. მის ინტერესებშია, რომ მას საბაბი მიეცეს, სადმე ძალა იხმაროს.

მთლიანი დასავლური პოლიტიკის პარადიგმაში ის აგრესიულობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან ითხოვს ნაციონალური ოპოზიცია, არ ზის. არც მაშინ იჯდა, 2008 წელს, მაგრამ მაინც გააკეთეს ის, რაც გააკეთეს. შედეგი ყველასთვის წამგებიანი იყო. მომგებიანი აღმოჩნდა ის მხოლოდ რუსეთისთვის. ასეთი რიტორიკით ნაციონალები ისევ რუსული საქმის კეთებისკენ მოგვიწოდებენ.

## ავთანდილ ჭრიკიშვილი: „ყველანაირ პოლიტიკურ ძალას ვემიჯნებით“



– ჩვენ ვემიჯნებით ყველანაირ პოლიტიკურ ძალებს, – ასე დაიწყო მიმართვა პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე ძიუდოისტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა.

მისი განცხადებით, შეკრებილი სპორტსმენების ერთადერთი სურვილია, შეძლონ სპორტული საქმიანობის გაგრძელება.

– სპორტის გარდა არაფერი გვინდა. სწორედ ამიტომ ვართ აქ. მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის, – აღნიშნა ავთანდილ ჭრიკიშვილმა.

პარლამენტის შენობის წინ ძიუდოისტები და მათი მხარდამჭერები აქციას მართავენ. მათი მთავარი მოთხოვნაა დაკავებული თანამდებობა დატოვოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა, ხოლო ხელისუფლებამ ფედერაციაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით მეტი ყურადღება გამოიჩინოს.

## საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის საქართველოში ცხოვრების ცენზი შესაძლოა გაიზარდოს



საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის საქართველოში ცხოვრების ცენზი შესაძლოა გაიზარდოს. „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მინიჭებისას, ხუთწლიანი ცხოვრების ცენზი 10 წლამდე იზრდება. გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭებისას კი, საქართველოში ორწლიანი ცხოვრების ცენზი, შესაძლოა, ხუთ წლამდე გაიზარდოს.

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი ინიცირებისთვის მზად არის. პროექტი პარლამენტს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

კანონში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა.

## ილია მეორე: „უხეშად არ უნდა შეეხოთ სარწმუნოებას. ეს არ რჩება დაუსჯელი“

– უხეშად არ უნდა შეეხოთ სარწმუნოებას – ეს არ რჩება დაუსჯელი.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას რუსთავი 2-ის მისამართით განაცხადა.

პატრიარქმა სულთმოფენობის დღესასწაულთან დაკავშირებით წირვა აღავლინა და მრევლს ქადაგებით მიმართა.

– გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ადამიანი იქნას ტაძარი სულისა წმინდისა. ამისთვის მოწოდებული ვართ ჩვენ ყველანი. ჩვენ ვცხოვრობთ უმძიმეს და ურთულეს დროს, როდესაც სიკეთე და ბოროტება ებრძვის ერთმანეთს და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მთელი საქართველო, ყოველი ჩვენგანი იყოს სიკეთის მხარეს. სიკეთე ვაკეთოთ და ის სიკეთე დაგვიბრუნდება ჩვენ, – განაცხადა ილია მეორემ.

პატრიარქი ასევე შეეხო ეკლესიის ურთიერთობას რუსთავი 2-თან.

– მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო იმ საკითხს, რომელიც იყო ამ დღეებში – ურთიერთობა ეკლესიასა და რუსთავი 2-ს შორის. მინდა გითხრათ, რომ უხეშად არ უნდა შეეხოთ სარწმუნოებას, ქრისტიანობას – ეს არ რჩება დაუსჯელი. ჩვენ ვილოცეთ იმისათვის, რომ ღმერთმა ყველას შეგვიინდოს ჩვენი შეცოდებანი. ყველა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს და აღიარებს მართლმადიდებლობას, ჩვენი სულიერი შვილია და ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის და იმედია, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა გამოსწორდება, – განაცხადა პატრიარქმა.



## ბათუმში, საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში, ქალი დაჭრეს




ბათუმში 30 წლის ქალი დაჭრეს. შემთხვევა აღმაშენებლის ქუჩაზე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში მოხდა.

მეზობლები ამბობენ, რომ თავდასხმა გაძარცვის მიზნით მოხდა. ლიფტში ქალი მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა.

– ქალს რამდენიმე ჭრილობა, სავარაუდოდ, დანით ჰქონდა მიყენებული. ჩვენმა ბრიგადამ იგი კლინიკა „ბაოში“ გადაიყვანა. ამ დროისთვის მისი მდგომარეობის შესახებ ვერაფერს გეტყვით, საავადმყოფომდე დაჭრილი კონტაქტური იყო, – განაცხადა პირველ არხთან ბათუმის სასწრაფო დახმარების სამსახურის უფროსის მოადგილე ბადრი პაქსაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნუ მომკლავ! ზაზა სარალიძემ რუსთაველზე აქცია გამართა







გუშინ, 27 მაისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ, აქცია „ნუ მომკლავ“ გაიმართა.

აქციის ძირითადი ორგანიზატორი 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში ხორავას ქუჩაზე ჩხუბის შედეგად გარდაცვლილი დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე იყო.

მას შემდეგ, რაც მომიტინგეების რაოდენობა გაიზარდა, აქციის ორგანიზატორებმა საპატრულო პოლიციას სთხოვეს, მათთვის სივრცე დაეთმოთ, შემდეგ კი საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე გადაინაცვლეს და რუსთაველი გადაკეტეს.

აქციის მონაწილეები ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის სამართლიან გამოძიებას ითხოვდნენ. აქციაზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის „ქართული მარშიდან“ და „თეთრი ხმაურის მოძრაობიდან“.

ასევე აქციაზე დარჩნენ ძიუდოისტები, რომლებმაც გუშინ, 17:00 საათზე, ასევე პარლამენტის შენობასთან, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს.

– დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, რომ ხვალ არ გაგრძელდეს ახალგაზრდების მკვლელობა, – ამ სიტყვებით მიმართა ზაზა სარალიძემ აქციის მონაწილეებს.

აქციაზე ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი მივიდა.

– მე აქ წარმოვადგენ მთელ ტელეკომპანია რუსთავი 2-ს, მე აქ წარმოვადგენ ჩემს გენერალურ დირექტორს, მე აქ წარმოვადგენ ადამიანებს, რომლებიც, უბრალოდ, აქ ვერ მოვიდნენ, მაგრამ ისინი გამოხატავენ სოლიდარობას, – განაცხადა მან.

ჟურნალისტმა ზაზა სარალიძეს გამძლეობა უსურვა. მან სანდრო გვირგვლიანის საქმე გაიხსენა და განაცხადა, რომ ის პოლიტიკოსები, რომლებიც იმ პერიოდში სიმართლის დადგენას ითხოვდნენ, დღეს ხელისუფლებაში იმყოფებიან და ჩუმად არიან.

– მე დღეს აქ მინდოდა დამენახა მეტი ახალგაზრდა, რომლებიც რამდენიმე დღის წინ იდგნენ რუსთაველზე. ვიდრე არ ვისწავლით ერთმანეთის გაჭირვების გაზიარებას, ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ სხვისი პრობლემა არის ჩვენი, გამორიცხულია, რამე პრობლემა მოგვარდეს, – განაცხადა ნანუკა ჟორჟოლიანმა.

„ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ დამფუძნებელმა დავით ქაცარავამ ხელისუფლებას მოუწოდა, მიიღოს აქციის მონაწილეების სამართლიანი გზავნილი და აღადგინოს სამართლიანობა.

მისი თქმით, შურისძიების სურვილი იმდენად დიდია, რომ არ არის გამორიცხული, ეს პროცესი სისხლისღვრამდე მივიდეს.

– დღეს ჩვენ ყველა შვილმკვდარი მშობლები ვართ აქ. ყველა შვილმკვდარი მშობლები ვართ ზაზასთან ერთად, მალხაზთან ერთად, ტატუნაშვილის მშობლებთან ერთად და ყველა იმ ადამიანთან ერთად, რომლებიც ამ დრომდე ელოდებიან სამართალს. თუ არ აღდგება სამართლიანობა, შეიძლება დაიწყოს სისხლისღვრა, შეიძლება შურისძიებამ გადაინაცვლოს ქუჩებში, – განაცხადა დავით ქაცარავამ.

აქციაზე ვაგზლის მოედანზე მოკლული 17 წლის მოზარდის დედა, ლარისა ძოძუაშვილიც მივიდა.

მოზარდს 2017 წელს ვაგზლის მოედანზე 7 ჭრილობა მიაყენეს, თუმცა დღემდე დამნაშავე პასუხისგებაში მიცემული არ არის. ლარისა ძოძუაშვილმა ზაზა სარალიძის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა.

– მე უკვე იმედი გამიჩნდა, რომ ყველა ერთად სამართალს მოვძებნით. ალბათ ბატონ ზაზა სარალიძეს, როგორც მე, ასე ყველა თქვენგანი გვერდით დავუდგებით, სიმართლეს ვიტყვით და ვათქმევინებთ იმ ურწმუნო პროკურორებსა და გამომძიებლებს, რომლებმაც ასე მიჩქმალეს ბავშვების საქმე. პირველი დეკემბერი ჩემს ოჯახში სიკვდილის განახლება იყო, როდესაც ზაზა სარალიძეს შვილი მოუკლეს, – აღნიშნა ლარისა ძოძუაშვილმა.

შვილმოკლული დედა ამბობს, რომ მისი შვილის მკვლელობიდან ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში სიმართლის დადგენა ვერ მოხდა. ასევე ლარისა ძოძუაშვილმა თქვა, რომ მისი შვილის მკვლელობის საქმის პროკურორები დღეს ხორავას ქუჩაზე მოკლული ახალგაზრდების საქმის პროკურორები არიან.

– 2017 წლის 13 თებერვალს, 6 საათიდან 7 საათამდე, ჩემი შვილი ვაგზლის მოედანთან გოგოლის ქუჩის 18 ნომერთან მომიკლეს და ვაგზლის მოედანზე მოიყვანეს ყვითელ ავტობუსთან, მეშვიდე ჭრილობა მიაყენეს

## „დაე, იყოს ჩემი შვილი მსხვერპლი, რომ ხვალ არ გაგრძელდეს ახალგაზრდების მკვლელობა“

და ყელი გამოსჭრეს. ჩემი შვილის საქმის პროკურორი, როგორც ახლა ზაზა სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის პროკურორები არიან, ქალბატონი ინა გუგუშვილი და ზვიად ფხაკაძე, აი, ის პროკურორები იყვნენ ჩემი შვილის პროკურორები.

მათში მე განსაკუთრებული დამცირება ვიგრძენი, დამცირება მარტო ჩემი კი არა, ყველასი, მთელი ხალხის და ის დამცირება, რომ მათ სიკვდილი არაფრად არ მიაჩნიათ, – განაცხადა ლარისა ძოძუაშვილმა.

ზაზა სარალიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

– დღეს მე ყველაზე მეტად მესმის ზაზა სარალიძის, ამიტომ მე და ჩემი ხალხი ყოველთვის ვიქნებით სარალიძეების გვერდით, – განაცხადა თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ.

მისი თქმით, სამართლიანობის აღდგენის გზაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა.

– დღეს ყველას კარგად გვესმის, რომ მნიშვნელოვანია სიმართლის დადგენა და ჩვენ ერთად, საქართველოს მოქალაქეებმა, უნდა მივაღწიოთ სიმართლეს. ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება თქვენი დახმარება და გვერდში დგომა, რომ დავამტკიცოთ სიმართლე, – აღნიშნა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.აქციაზე სიტყვით მხატვარი გია ბუღაძეც გამოვიდა.

– ისინი დაიმსახურებენ „მაკრატლების რევოლუციას“, – განაცხადა მან.

მხატვარმა განმარტა, რომ არ გულისხმობს სისხლსა და ძალადობას, არამედ, როგორც მხატვარი, სიმბოლურად აზროვნებს.

მისი თქმით, ეს იქნება სიმბოლო იმისა, რომ ხორავას ქუჩაზე მოკლულ დავით სარალიძეს მაკრატლებით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული.

– ასეთი უბედურება ჯერ არ ყოფილა ამ ქვეყანაში. ამ მთავრობამ შექმნა უსამართლობის საოცარი განცდა. ჩვენ იდეა წაგვართვეს. რამდენი ბავშვი მოკლეს, მაგრამ პასუხი არ არის. მაინცდამაინც ელიტა უნდა იყოს ზაზა სარალიძე, რომ ყურადღება მიაქციონ?! – აღნიშნა გია ბუღაძემ.

გია ბუღაძის გამოსვლას აქციის მონაწილეთა ნაწილში უკმაყოფილება მოჰყვა.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა თაკო ჩარკვიანმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ცუდი ხელისუფლების ცვლილებას არ სჭირდება ველური რევოლუცია და ამისთვის ცივილიზებული არჩევნების ფორმაა მისაღები.

## ზურაბ ზვიადაური: „ქევხიშვილს უნდა წასვლა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცები არ უშვებენ“



გუშინ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ მიმდინარე ძიუდოისტთა აქციაზე იმყოფებოდა ზურაბ ზვიადაურიც, რომლის განცხადებითაც, დავით ქევხიშვილს აქვს სურვილი, რომ გადადგეს, თუმცა ამის საშუალებას არ აძლევენ.

– დარწმუნებული ვარ, თვითონ უნდა წასვლა, მაგრამ არ უშვებენ ვიღაც- ვიღაცები. ასე უჭირავთ ქეჩოთი ქევხიშვილი და არ უშვებენ. საძმაკაცო ჰყავს, ოჯახური კლანი ჰყავს. მართავენ ქევხიშვილს. არ უშვებენ და მართავენ ქევხიშვილს, – განაცხადა ზურა ზვიადაურმა, თუმცა კონკრეტულად ვის გულისხმობს ის პირებში, რომლებიც, მისი თქმით, ქევხიშვილს მართავენ, ოლიმპიურ ჩემპიონს არ დაუსახელებია.

# „ევროპულმა საქართველომ“ ნაციონალებს მეორე ადგილი წაართვა“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო კონსტანტინე, ივანიშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში, თუმცა ჯერ არ ჩანს. როგორ ფიქრობთ, მისი გააქტიურებით პოლიტიკური პროცესებიც გააქტიურდება?***

– არავითარი პოლიტიკური პროცესი საქართველოში არ მიმდინარეობს. ქვეყანაში პოლიტიკა არ არის მდგენელი. ძალიან ბევრი მიმართულება შემიძლია ჩამოგითვალოთ, რაც არის საზოგადოებრივი ცხოვრების მდგენელი, მაგრამ – არანაირად პოლიტიკა. მორალური საკითხები, რელიგიური საკითხები, სამედიცინო სფეროც კი, ნარკომანიასთან დაკავშირებული პრობლემები – ეს ყველაფერი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ნაწილია, მაგრამ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, პოლიტიკა – არა. პოლიტიკა გაქრა დღის წესრიგიდან.

***– რატომ?***

– ეს არის ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დათესა და ამ მოსავალს იმკის ის დღეს. ასეც უნდოდათ მათ და ასეც არის. გაქრნენ პოლიტიკური პარტიები, გაქრნენ პოლიტიკოსები და ეს პროცესი კი არ შეჩერდა, გრძელდება.

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებულ შედეგებს გულისხმობთ?***

– დიახ, ზოგადად ამის დასტური და გამოხმაურება იყო ის, რაც საპარლამენტო არჩევნებზე მოხდა.

***– თუ ივანიშვილი პრემიერის პოსტს დაუბრუნდა, ეს პროცესი გაცოცხლდება?***

– ეს იქნება ერთისა და იმავე პირის თამაში ჭადრაკის დაფის ორივე მხარეს. ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდა, პოლიტიკას დაჰბრუნებოდა. მას არ მოსწონს პოლიტიკა. როგორ შეიძლება, კაცს ასე ეზიზღებოდეს პოლიტიკა და პოლიტიკაში იყოს ან პოლიტიკოსი იყოს. ეს სრულიად შეუძლებელია, უბრალოდ, ის იძულებულია, ეს როლი მოირგოს, თუმცა ჩვენ ვხედავთ, როგორ წვალობს და როგორ არ უნდა მას ეს როლი. ის იძულებულია, რომ იყოს ამ ასპარეზზე.



საქართველოში ოდესმე გინახავთ, ასე ახლოს იყოს საპრეზიდენტო არჩევნები, სულ რაღაც რამდენიმე თვე იყოს დარჩენილი და ეს საერთოდ არ იგრძნობოდეს?! არათუ არ იგრძნობა, სახელისუფლებო გუნდის კანდიდატის შესახებ ჭორიც კი არ გაგვიგია.

***– რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– კანდიდატის შესახებ გადაწყვეტილება ერთმა კაცმა უნდა მიიღოს, მას კი ჯერ ეს გადაწყვეტილება ვერ მიუღია და ამიტომ.

***– თუმცა ოპოზიციაც თითქოს ხელისუფლების მოლოდინშია. მასაც რთულად აქვს საქმე.***

– ცხადია, ოპოზიცია ძალიან ჭრელია, ძალიან რთული იქნება ერთ კანდიდატზე შეთანხმება, ბრძოლა მე-5, მე-6 ადგილისთვის იქნება და არა – რეალური გამარჯვებისთვის. თუ ოპოზიცია ვერ შეძლებს ერთიან, ძლიერ კანდიდატზე შეთანხმებას, მაშინ ის ხელისუფლების თამაშს ითამაშებს. ძალიან მძიმე ვითარებაა ყოველივე ამის გათვალისწინებით.

***– თუ ოპოზიციამ ერთიან კანდიდატზე შეჯერება მოახერხა, მაშინ რას ელოდებით?***

– მაშინ მეორე ტური იქნება და ბრძოლას რეალური სახე მიეცემა. მაშინ ოპოზიცია შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ რეალურად არსებობს, რომ ის ცოცხალია.

***– შეიძლება ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“ არ დაგეთანხმოთ და მათ თქვან, რომ ისინი არიან პარლამენტში და ხელისუფლებისთვის ოპონირებასაც თავს ართმევენ.***

– ნაციონალური მოძრაობა კი აცხადებს, რომ ქვეყანაში მეორე ძალაა, მაგრამ, მე ვფიქრობ, მათ უკვე დაკარგეს ეს სტატუსი და ეს სტატუსი „ევროპულმა საქართველომ“ მოირგო. „ევროპული საქართველო“ „ქართულ ოცნებას“ აწყობს მთავარ ოპოზიციურ ძალად, როგორც ეს თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა, როდესაც პარლამენტში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა იყო მთავარი ოპოზიციის სტატუსით. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ „ევროპული საქართველო“ გაუმჯობესებული ვარიანტია.

***– თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას „ევროპული საქართველო“ ჩაანაცვლებს?***

– ჩაანაცვლა უკვე. მე არ გამოვრიცხავ, რომ საპრეზიდენტო ადგილზე მათმა კანდიდატმა მეორე ადგილი აიღოს და ამით ის გააფორმებს იმას, რაც უკვე მოგახსენეთ. ამით „ევროპული საქართველო“ მეორე ძალა გახდება.

ასე თუ გაგრძელდა პროცესი, „ქართული ოცნება“ სრულიად უპრობლემოდ მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს, მეორე ადგილს კი, როგორც გითხარით, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი დაიკავებს.

# ოკუპირებულ აფხაზეთში შვეიცარიელი დამკვირვებლების მხრიდან ტვირთების კონტროლს აპროტესტებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვაა იმის გამო, რომ უნდა ამოქმედდეს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის ხელმოწერილი შეთანხმება საზღვარზე ტვირთების კონტროლის თაობაზე.**

დოკუმენტს „საბაჟო ადმინისტრირებისა და ტვირთებით ვაჭრობის მექანიზმის ძირითადი პრინციპების მექანიზმის შესახებ“ ხელი 2011 წლის ნოემბერში მოეწერა. მაშინ საქართველო არ ეთანხმებოდა რუსეთის შესვლას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. საბოლოოდ, საქართველო ამას დათანხმდა იმ პირობით, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარზე კონფლიქტურ რეგიონებში მოხდებოდა რუსეთიდან შემომავალი ტვირთების საბაჟო კონტროლი შვეიცარიული კერძო კომპანიის მეშვეობით.



საქართველოში ეს გადაწყვეტილება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნაწილის აზრით, ამით თბილისი შვეიცარიელი დამკვირვებლების დახმარებით რეალურად გააკონტროლებს საზღვარს ფსოუსა და როკზე. ნაწილის აზრით, თბილისი ამით არაფერს იგებს და იმისათვის, რომ ამ გადაწყვეტილებას დასთანხმებოდა, მასზე ზეწოლა მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელიც თვლიდა, რომ რუსეთის ყოფნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მის ეკონომიკას გამჭვირვალეს გახდის.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმებმა 2011 წელსვე გამოაცხადეს, რომ უცხოელ მონიტორებს თავიანთ ტერიტორიებზე არ შეუშვებენ. სოხუმში ითქვა, რომ

## რუსეთის წარმომადგენელი: „საკონტროლო ტერმინალი ზუგდიდში განთავსდება“

თავის საბაჟო პუნქტს აფხაზეთიც გახსნის, რათა საქართველოს სხვა კუთხეებიდან კონტრაბანდა აღკვეთოს.

დღეს საკითხის აქტუალიზაცია გამოიწვია რუსეთსა და შვეიცარიას შორის მაშინ მიღწეული შეთანხმების ხელმოწერამ.

აფხაზეთის საზოგადოება გამოდის უცხოელი გამკონტროლებლების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ აფხაზეთს ამ პროცესში არაფერს ეკითხებიან. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ რუსეთის ახალ ე.წ. ელჩს აფხაზეთში ამაზე განმარტებების გაკეთება მოუხდა.

რუსეთის წარმომადგენელმა ალექსეი დვინიანინმა აღნიშნა, რომ შეთანხმება ორმხრივია და მასში აფხაზეთის მხარე მონაწილეობას ვერ მიიღებდა. განმარტებებისას დიპლომატმა გაახმაურა ისეთი დეტალები, რომლებიც თავდაყირა აყენებს 2011 წელს მიღწეულ თანხმობას. ადრე გათვალისწინებული იყო მონიტორების ჩაყენება ფსოუსა და როკის გვირაბთან – თბილისის მიერ არაკონტროლირებად ადგილებში. ფაქტობრივად, მოხდებოდა ამ საზღვრების ლეგიტიმაცია.

ე.წ. ელჩი აცხადებს, რომ ერთი გამშვები ტერმინალი ზუგდიდში განთავსდება. საბაჟო ინფორმაციას შვეიცარიული კომპანია არ გადასცემს ქართულ მხარეს. საქართველო ისევე ვალდებულია, მოახდინოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ინფორმირება, როგორც რუსეთი.

– ვერ ვხედავ აღელვების საფუძველს. საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმება არანაირად არ ლახავს აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ინტერესებს. საბაჟო ტერმინალები, რომლებშიც იმუშავებენ შვეიცარიელი დამკვირვებლები, განთავსებულია რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე, – აღნიშნავს რუსეთის წარგზავნილი.

# გიორგი მარგველაშვილი: „თუკი ფრთხილად არ ვიქნებით, ტრაგედიებს მივიღებთ“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სიტყვით მიმართა იმ ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ღონისძიებაზე „თანამშრომლობა კეთილდღეობისთვის – მომავალი ასწლეულის სტრატეგია“. მისი თქმით, სწორედ ეფექტური რეაგირება აგვაცილებს იმ ტრაგედიებს, რომლებიც უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას თავს დაატყდათ.



– ჩვენ ვსაუბრობთ უკრაინაზე და არ შემიძლია თავი ავარიდოთ იმის თქმას, თუ რაოდენ ვუჭერთ მხარს თქვენს ქვეყანას იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებთ თქვენი მკაცრი მეზობლის წინაშე. ეს არის უდიდესი მაგალითი პატრიოტიზმის, გმირობისა და რასაკვირველია, უკრაინამ უნდა განახორციელოს თავისი ღირებულებები. 2014 წლამდე უკრაინაში მოხდა ეს აგრესია, 2008-ში საქართველოს დაატყდა თავს იგივე და არ ვიყავით მაშინ კარგად ორგანიზებული, რომ ადეკვატური გაკვეთილები გვეჩვენებინა რუსებისათვის. საქართველოში გაცილებით უფრო ენერგიული ნაბიჯები რომ ყოფილიყო გადადგმული, შეიძლებოდა ამას უკრაინის ოკუპაცია აღარ მოჰყოლოდა. მაგრამ 2008 წლამდეც, 90-იანი წლების დასაწყისშივე იყო რეგულარული ჯარი საქართველოში. უდიდესი ისტორიული უსამართლობა მოხდა, როცა სოხუმს ბომბავდა რუსეთი. სამწუხაროდ, თუკი არ გვაქვს ეს ყველაფერი გაცნობიერებული და თუკი ფრთხილად არ ვიქნებით, ტრაგედიებს მივიღებთ კვლავ. რამდენი ასეული ადამიანი დაიღუპა უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვაში. მინდა, რომ სმენა გვქონდეს გამახვილებული და ევროპის ქვეყნების ყურამდე მივაწვდინოთ ის, რომ გაცილებით მეტად ორგანიზებული რეაგირებაა საჭირო აგრესიული ქვეყნის ქმედებაზე, რაც თავიდან აგვაცილებს ეროვნულ ტრაგედიებს, რომელიც ჩვენს ქვეყნებს დაატყდა თავს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

# უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების პირობები დგინდება

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების პირობები დგინდება. საუბარია პირებზე, რომელთაც პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით, საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მიანიჭოს.



„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისთვის სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას, მხედველობაში შემდეგი გარემოებები მიიღება: სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს; ის ან მისი წინაპარი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ან იძულებით გადაადგილებული პირია ან სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირია.

გარდა ამისა, პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იქნება შემდეგი გარემოებებიც: განმცხადებელი საქართველოში დაბადებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია და საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს; სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ისეთ ინვესტიციას ახორციელებს, რომლითაც მას სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს; სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების, ხელოვნების სფეროში და სურს, მოღვაწეობა საქართველოს სახელით გააგრძელოს.

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი ინიცირებისთვის მზად არის. პროექტი პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება. კანონში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა.

# ზუგდიდში დადიანების მუზეუმის ეზოს ნაწილი აუქციონზე იყიდება

ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე №1-ში მდებარე დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოს ნაწილს, 995.00 კვ.მ-ს, აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონზე ყიდის. მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი 482.250 ლარია.

მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ძველი, ღია კინოთეატრი, ტერიტორიაზე დასხმულია ბეტონი და განთავსებულია ძველი სცენისა და საპროექტოროს შენობები.

ელექტრონული აუქციონი 18 მაისს გამოცხადდა და 28 მაისს დასრულდება. აუქციონის პირობების მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლებით შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 15 მარტის შეტყობინების საფუძველზე. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2018 წლის 12 აპრილის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ერიცხება დავალიანება 5358.53 ლარის ოდენობით. დოკუმენტში მითითებულია, რომ დავალიანება ზრდადია.

ადგილობრივი ინტერნეტგამოცემა „ლაივპრესის“ ინფორმაციით, 2013 წლიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მოქალაქე გია უბირიაა. მანამდე მიწის ნაკვეთს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წალენჯიხის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ქარდავა ფლობდა. ქარდავამ მუზეუმის ეზოს ნაწილი 2007 წელს შეიძინა.

„ლაივპრესის“ ინფორმაციით, იმ პერიოდში მუზეუმის ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობის საკითხს განიხილავდნენ, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მაშინდელმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა უარი თქვა მუზეუმის შენობიდან 500 მეტრში ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსებაზე.

დადიანების სამუზეუმო კომპლექსი შედგება სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და თავად ნიკო დადიანის სასახლეებისაგან (XIX ს-ის 70-იანი წლები) კარის ეკლესიისა და დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღისგან. მუზეუმის კომპლექსში შემავალ ორივე სასახლეს, ბოტანიკურ ბაღსა და კარის ეკლესიას, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 23 თებერვლის №3/44 ბრძანებით მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.



# ბორჯომ-ბაკურიანის სასტუმროებში ნომრების 50%-ზე მეტი დაჯავშნილია

ზაფხულის სეზონისთვის ბორჯომსა და ბაკურიანში მდებარე სასტუმროების ნომრების დაახლოებით 50%-ზე მეტი დაჯავშნილია.

როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას სასტუმროების მენეჯერები აცხადებენ, ჯავშნების დიდი რაოდენობა უცხოელ სტუმრებზე მოდის, თუმცა ზაფხულის სეზონზე ადგილობრივების აქტიურობასაც ელოდებიან.

მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ჯავშნების დიდი ნაწილი ისრაელის მოქალაქეებზე მოდის.

ბაკურიანში მდებარე სასტუმრო „სნოუ პლაზაში“ აღნიშნავენ, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სასტუმროების წინასწარი ჯავშნების რაოდენობა ნაკლებია.



– სასტუმროს ნომრების დაახლოებით 50% დაჯავშნილი. შერეული ჯავშნებია, როგორც ქართველების, ასევე უცხოელების. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ჯავშნების რაოდენობა ნაკლებია. ძირითადად ებრაული ჯგუფები ჯავშნიან. ასევე, თანაბრად არის მეზობელი ქვეყნების მოქალაქეების ჯავშნებიც, – აცხადებენ „სნოუ პლაზაში“.

ბაკურიანში მდებარე „კრისტალშიც“ აცხადებენ, რომ მათ სასტუმროშიც ისრაელის მოქალაქეების ჯგუფების ჯავშნები ჭარბობს.

– ზაფხულისთვის მოგზაურთა ჯგუფებზე გვაქვს ჯავშნები, რომლებიც რამდენიმე თვით ადრე ჯავშნიან. ძირითადად არიან ისრაელის მოქალაქეები. ნომრების დაახლოებით 50-60% უკვე დარეზერვებულია. გარდა ისრაელის მოქალაქეებისა, ზაფხულში ჩვენს სასტუმროში დასვენებას იტალიის, გერმანიის, ესპანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების მოქალაქეები გეგმავენ. ჯერჯერობით ქართველების ჯავშნები ბევრი არაა, თუმცა ყოველ სეზონზე ივლის-აგვისტოში 90% ქართველი დამსვენებელი გვყავს, – განგვიცხადეს „კრისტალში“.

კიდევ ერთ სასტუმროს, „ვილა პალასს“, რომელიც ასევე ბაკურიანში მდებარეობს, ქართველების ჯავშნები ჯერ არ მიუღია:

– ძირითადად არის ჯგუფების ჯავშნები ისრაელიდან, კორეიდან, გერმანიიდან. ივნის-ივლისში ნომრების დაახლოებით 90% არის დაჯავშნილი. ჯერჯერობით ქართველების ჯავშნები არ არის. სავარაუდოდ, ამინდების გამოსვლას და დამტკერვის პერიოდის უფრო აქტიურ დაწყებას ელოდებიან.

ბაკურიანის კიდევ ერთ სასტუმროში „მელისი“ კი აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ივლისის ბოლომდე ნომრების 50% დაჯავშნილია, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. რაც შეეხება უცხოეთს, უმეტესად „ბუქინგ ქომის“ საშუალებით, აღნიშნული სასტუმროს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველო თამბაქოს კვამლისგან თავისუფლდება

## ქუჩის რა ნაწილში იკრძალება მოწევა

### თუ მძღოლი ეწევა...

თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოწევა არამხოლოდ ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში (გარდა ტაქსისა და კატერისა) იკრძალება, არამედ, თამბაქოს ნაწარმის მოხმარება დაუშვებელია საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო, აგრეთვე სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე. ასევე 18 წლამდე ასაკის პირების საზოგადოებრივ შეკრებებზე. მოწევა იკრძალება სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სადაც ცეცხლსაშიში ნივთიერებები ინახება.

ქუჩის ზუსტად რა ნაწილში იკრძალება მოწევა, ვინ და როგორ უნდა შექმნას კანონის აღსრულებისთვის საჭირო გარემო, გვესაუბრა თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე.

*— მოქალაქეები კითხულობენ, ბაღებში, პარკებსა და სკვერებში, — ყველგან იკრძალება მოწევა?*

— მოწევა იკრძალება მხოლოდ იქ, სადაც 18 წლამდე პირების, ანუ არასრულწლოვანთა შეკრებები იმართება, ასევე პარკების, ბაღების და სკვერების იმ ნაწილში, სადაც არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სათამაშო ან სავარჯიშო მოედნებია. იმისათვის, რომ მოსახლეობა მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს, გამაფრთხილებელი ნიშნები სავალდებულოა კანონით გათვალისწინებულ ყველა ტერიტორიაზე. ეს უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციამ, რომელიც ბაღებს, პარკებს, სკვერებს და იქ განთავსებულ საბავშვო სათამაშო ან სავარჯიშო მოედნებს განაგებს. თვალშისაცემი უნდა იყოს გაფრთხილება, რომ მოწევა აკრძალულია. ტექსტური ან სხვა ფორმის გაფრთხილებებით უზრუნველყოფაზე ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ან კერძო მესაკუთრემ, თუ ასეთი არსებობს, უნდა იზრუნოს.

*— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ აღნიშნულ ტერიტორიებზე არ არის არანაირი ამკრძალავი ნიშანი და ადამიანები ეწევიან საბავშვო მოედნებთან?*

— ამ დროს პარკის ადმინისტრაციას უნდა მოვთხოვოთ რეაგირება. თუ ადმინისტრაცია არ არის (როგორც მახსოვს, ასეთი რამ მხოლოდ ვაკის პარკშია), მოქალაქეს, რომელიც ეწევა, კონფლიქტის გარეშე უნდა ავუხსნათ, რომ მოწევა აკრძალულია. თუ ადმინისტრაცია არის და არ რეაგირებს, უხმეთ საპატრულო პოლიციას, რომელიც ადმინისტრაციას მოსთხოვს პასუხს. თავის მხრივ, მწეველი მხოლოდ მაშინ დაჯარიმდება, თუ შენიშვნის მიმცემს ან პოლიციას წინააღმდეგობას გაუწევს.

*— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მძღოლი ეწევა?*

— მონიტორინგის სამსახურმა ყვითელ, მუნიციპალურ ავტობუსებში მწეველი მძღოლი დააფიქსირა. ასეთ შემთხვევაში მძღოლი ან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი 500 ლარით ჯარიმდება. თუ ხედავთ, რომ მძღოლი ეწევა, იხმეთ საპატრულო პოლიცია და ის გადაწყვეტს, ვის დააკისროს ჯარიმა — მძღოლს, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, მერიის მუნიციპალურ სამსახურს, რომელიც ამ ტრანსპორტს განაგებს.

**მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავიცვათ კანონის მოთხოვნები!**




# ათი ყველაზე პოპულარული იდეა, რომლებითაც თბილისელები კახა კალაძეს მიმართავენ

თუ თქვენ გსურთ, თბილისის მერიის საქმიანობაში ჩაერთოთ, უფრო ზუსტად, ცადოთ ეს, არსებობს ონლაინმექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ქალაქის ხელმძღვანელობისთვის საკუთარი წინადადების წარდგენა შეგიძლიათ.

ამ წინადადებებისთვის ხმის მიცემაც შესაძლებელია. შესაბამისად, შეგიძლიათ გაიგოთ, რომელია ყველაზე პოპულარული იდეები, რომლითაც მოქალაქეები თბილისის მერიას მიმართავენ.

ჩვენ 10 ყველაზე პოპულარულ იდეას წარმოგიდგენთ:

**1. „ახალი სიცოცხლე ძველ სახლებს“**

ამ იდეის ავტორი აკაკი კაკიტაძეა. ის წერს, რომ დიდუბის რაიონში, კერძოდ, წერეთლის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე არის ამორტიზებული სახლები, „ხრუშოვკები“. იდეის ავტორს სურს შენობის გამაგრების ნაცვლად მოხდეს მათი დანგრევა და „იმავე ადგილას აშენდეს არა ბეტონის ციხესიმაგრეები, არამედ ტიპური ლამაზი, დახვეწილი დიზაინის შენობები, სადაც ფართი მიეცემათ ადგილობრივ მცხოვრებლებს და დანარჩენი ნაწილის რეალიზაციას მერია აუქციონის მეშვეობით მოახდენს.

**2. დაბადების დღის საჩუქარი**

იდეის ავტორის, ანდრია გოცირიძის აზრით, კარგი იქნება, თუ მერიის მიერ გამოყოფილ გასამწვანებელ ტერიტორიაზე მოეწყობა პარკი, სადაც მოქალაქეები მეგობრის, ოჯახის წევრის, ახლობლის დაბადების დღის ან სხვა თარიღის აღსანიშნავად საჩუქრად დარგავენ ხეებს (ერთს ან რამდენიმეს), რომელსაც ერქმევა იუბილარის სახელი.

იდეის მიხედვით, ასევე შეიძლება დაირგოს ხე გარდაცვლილი ახლობლის სახელზე ან რომელიმე ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად (სკოლის, სასწავლებლის დასრულება, ქორწინება, კომპანიის დაარსება ან იუბილე...).

**3. GUIDE DESK**

ნინო აბრამიშვილის იდეით, კარგი იქნება საქართველოში მზარდი ტურისტული ნაკადის გათვალისწინებით – ქ.თბილისის სხვადასხვა რაიონში განთავსდეს ელექტრონული დაფები, „გაიდდესკი“ („GUID EDESK“), რომელშიც ჩატვირთული ინფორმაცია დედაქალაქის სტუმრებს საშუალებას მისცემს, გაეცნოს ქ.თბილისის ტურისტულ, ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა პოტენციალს.

**4. მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები სკვერებში**

მოქალაქე გიორგი კოპლატაძეს კი სურს, სკვერებსა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე სპორტული მოედნების გვერდით მაგიდის ჩოგბურთის, იმავე პინგპონგის მაგიდები დაიდგას.

**5. საზოგადოებრივი რადიო მუნიციპალურ ტრანსპორტში**

გურამ მეგრელიშვილის აზრით კი საზოგადოებრივ ტრანსპორტში მხოლოდ საზოგადოებრივი რადიოს არხები უნდა იყოს ჩართული. „ამით, ერთი მხრივ, შეიზღუდება გაუგებარი მუსიკალური რეპერტუარი, რაც ტრანსპორტში ისმის, მეორე მხრივ, მოხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის არხების 102.4 ან 100.9 პოპულარიზაცია“.

**6. ევგენი ზემელის ცნობილი აფთიაქის აღდგენა**

ეს იდეა ირმა ხუცურაულს ეკუთვნის.

**7. თბილისის მუნიციპალური საავადმყოფო (უფასო)**

თბილისის მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნა თბილისში, ვაჟაფშაველას №27-ში, ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს 12-სართულიან, 10 წლის განმავლობაში რეაბილიტაციის მომლოდინე უფუნქციო კორპუსში – უფასო საავადმყოფოს გახსნის ინიციატივით გამოდის მოქალაქე ნინო ხაჭაპურიძე.

**8. თბილისი – რეტრო არე**



გია ალავიძის ამ იდეას ვერაფერი ამოვაკელით, ამიტომ უცვლელად გთავაზობთ.

დასაწყისისთვის, ძველი თბილისის ერთი ეზო გადაიქცევა რეტრო არედ, ანუ ეზო თავის მცხოვრებლებიანად იცხოვრებს მე-19 საუკუნეში.

მცხოვრებლები შეიმოსებიან შესაბამისი საუკუნის სამოსში.

შენობის პირველ სართულზე ქუჩის მხრიდან იფუნქციონირებს სამჭედლო საზერველით და მე-19 საუკუნის შესაბამისი სხვა აღჭურვილობით, გამოჭედავენ ცხენის ნალებს და ჯერჯერობით გაყიდიან ტურისტებზე, როგორც წარმატების ნიშან-სიმბოლოს.

ასევე იფუნქციონირებს პურის საცხობი, რომელშიც პურს შეშაზე გამოაცხობენ. ასევე, დუქანი – მაგიდების ნაცვლად ღვინის კასრებით. ეზოში ქალები მატყლს პენტავენ, იქვე დახლი მაღაზია იქნება, სადაც ძველებურ სამოსში ჩაცმული მოვაჭრე, ძველებური სასწორით გაყიდის საქონელს. აივანზე (პენსიონერი) კაცები ითამაშებენ ნარდს. შეიქმნება სრული შთაბეჭდილება მე-19 საუკუნის თბილისური ყოფის. რა თქმა უნდა, ტურისტებისთვის ეს ადგილი გახდება ყველაზე მიმზიდველ ადგილად ძველ თბილისში. შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ მათ შეეძლებათ უშუალო კონტაქტში შევიდნენ როლების შემსრულებელ მაცხოვრებლებთან, შევიდნენ ეზოში, დუქანში და უშუალოდ შეიგრძნონ ის ატმოსფერო, რომელიც ახლდა მე-19 საუკუნის თბილისს.

მომავალში ძველი თბილისის მთლიანი კვარტალი გადაიქცევა რეტრო არედ. ანუ მთლიანი უბანი იცხოვრებს მე-19 საუკუნეში. სამოსი, ტრანსპორტი, სამუშაო მოსახლეობის საქმიანობა, მათ შორის ხელოსნობა იქნება ძველი ტრადიციული თბილისური. ეს ვითარება გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. ტურისტების მოზიდვას. შეიქმნება სახელოსნოები, სადაც დასაქმდებიან ტრადიციული ხელობის ხელოსნები და ამითაც სასიკეთო საქმე გაკეთდება. ასევე დასაქმდებიან მკერავები – საჭირო გახდება ძველმოდური სამოსის შეკერვა.

მაწონს ვირებით დაატარებენ და ფაიტონებში ცხენები იქნება შებმული. საჭირო გახდება თავლა და აქაც დასაქმდება ხალხი. უამრავი პროფესია წამოიწევს. დალაქები. პოლიციელები. ღამის ფარნის გამნათებლები, მექისეები, მეჩაიეები ჩაიხანებში, მედუქნეები, ქუჩის მხატვრები და კიდევ უამრავი. მოკლედ ეს პროექტი დაიწყება ჯერ ერთი ეზოთი, შემდეგ კი მთელ კვარტალს მოიცავს. პროექტის მოწონების შემთხვევაში, შემუშავდება დეტალური გეგმა. ჩაერთვება საჭირო პროფესიის ადამიანები. რა თქმა უნდა, ქალაქის მერიასთან უშუალო კონსულტაციებით. ამჟამად, მერიისგან მხოლოდ პროექტის შეფასებას მოველი. შემდეგ ეტაპზე მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობაში შეიქმნება დეტალური გეგმა ვადებში გაწერილი.

**9. ახალი წლის გართობა მეტროში**

მოქალაქე სანდრო პაიჭაძეს კი უნდა, ახალი წლის ღამეს ერთ-ერთი მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში დამონტაჟდეს დაბალი განათება, დაბალი ხმის სისტემა და დაუკრან ელექტრონული მუსიკა. „მატარებელი ჩვეულებრივად იმოძრავებს და ხალხს, ვინც იმ ვაგონში შევა, გასაოცარი სიურპრიზი დახვდება“.

**10. სასწავლო ცენტრი Passionis**

პოპულარობის მიხედვით, სორტირებული იდეებიდან მეათე ადგილი კი დაიკავა ვახტანგ კოჭატაშვილმა, რომლის აზრითაც კარგი იქნება, თუ ქალაქის ცენტრში გამოინახება და ტექნიკურად მოეწყობა დარბაზი, სადაც გაიმართება სხვადასხვა თემატიკის ტრენინგი და საჯარო ლექციები (ტურიზმი, ჰუმანიტარული კულტურული და ა.შ.). მათზე დასწრება შეეძლებათ ნებისმიერი ასაკის ადამიანს. სასურველია, დარბაზის ადგილების რაოდენობა იყოს 250-300-ადგილიანი, რომ ყველამ შეძლოს დასწრება და მონაწილეობის მიღება.

არ ვიცით, ამათგან რომელს მოიწონებს თბილისის მერი, მაგრამ, არის იდეები, რომლებსაც ქალაქის ხელისუფლება უყურადღებოდ ნამდვილად არ ტოვებს, მაგალითად იდეა №1526 „ვარდების მოედნის“ სახელდების ცვლილებასთან დაკავშირებით. ეს იდეა მოქალაქე გიორგი ხარაიშვილის სახელითაა დარეგისტრირებული და ბიუჯეტად 15.000 ლარი აქვს მითითებული.

# მიხეილ ჭკუასელი: „გურიელი“ მსხვილ ბრენდებთან კონკურენციაში დაიბადა“

ჩაი „გურიელის“ დამფუძნებელი მიხეილ ჭკუასელი სატელევიზიო გადაცემაში ინტერვიუ „კომერსანტთან“ ნიკა ქავთარაძესთან ერთად სხვადასხვა მნიშვნელოვან თემას შეეხო, მათ შორის, ქვეყანაში ჩაის განვითარების ისტორიასა და ამ მიმართულებით არსებულ დღევანდელ მდგომარეობას.

*– ქართული ჩაი კარგი ჩაია?*

– ქართული ჩაი ძალიან კარგია და ჩვენ უპირატესობა გვაქვს. საქართველო ჩაის გავრცელების კუთხით უკიდურესი ჩრდილოეთია, რადგან ჩვენ მხოლოდ ხუთი თვე გვაქვს, როდესაც ჩაის მოკრეფის საშუალება გვაქვს. ანუ ჩვენი ჩაი სეზონურია. ჩვენ გვაქვს კლიმატური პირობები და ისეთი ნიადაგი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მაღალხარისხიანი ჩაი ვაწარმოოთ. ქართულ ჩაის განსაკუთრებული არომატი გააჩნია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჩაის მოკრეფის დროს ტემპერატურის ამპლიტუდა საკმაოდ დიდია.

იმის გამო, რომ ჩვენ მხოლოდ 5 თვე გვაქვს, ცნობილ ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით, თუმცა ჩვენ ქვეყანაში ჩაისათვის დამახასიათებელი დაავადებების გავრცელება არ ხდება.

მაგალითად, ჩვენი მწვანე ჩაი განსაკუთრებულია და იაპონურ მწვანე ჩაისა და ჩრდილოეთის მწვანე ჩაისთან შედარებით გარკვეული სახის უპირატესობებითაც სარგებლობს. ჩვენი ჩაი ეკოლოგიურად სუფთაა და კარგი გემური თვისებები აქვს ის მრავალფეროვანია არომატითაც.

*– ქართული ჩაი ბავშვობაშიც გიყვარდათ თუ მას შემდგომ, რაც ბიზნესი დაიწყეთ?*

– ჩემი ჩაისთან კონტაქტი ბავშვობაში დაიწყო, ხოლო შემდგომ გურიაში ყოფნისას, როგორც სახელმწიფო რწმუნებულს, მომიწია ჩაისთან შეხება. ჩვენ წარსულში მეხუთე ქვეყანა ვიყავით ვინც ჩაის აწარმოებდა. ჩაის კი სრულიად საბჭოთა კავშირისთვის ვაწარმოებდით. სწორედ ამიტომ შეექმნა ჩაის პრობლემები, რადგან მისი რაოდენობა იყო მთავარი და ხარისხს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ სწორედ ამიტომ დავკარგეთ მსოფლიო ბაზარი, თუმცა სხვა საკითხია დიდი ბაზარი რამდენად მისაღებია, რადგან ის არასტაბილურიცაა. იმ პერიოდშიც იწარმოებოდა კარგი, ხარისხიანი ჩაი თუმცა იმ პერიოდში რიგითი მოქალაქეებისთვის ის ხელმისაწვდომი არ იყო. ყველაზე დიდი პრობლემა კი იყო ის, რომ მას მარკეტინგი არ ჰქონდა.

*– რა არის ბიზნესის ამოსავალი პრინციპი?*

– ბიზნესის მთავარი პრინციპი მოგების მიღებაა. როგორც ის მიხვდება, რომ კომპრომისი ხარისხთან მიმართებაში შესაძლებელია იძულებული გახდება კომპრომისზე წავიდეს.

გურიელი დაიბადა უმკაცრეს კონკურენციაში „გრინფილდთან“, „ლიფტონთან“, „ახმადთან“ და „ალთჰაუსთან“. ჩვენ ამ ბრენდებთან ჭიდაობაში გავიზარდეთ.



არსებობს პარადოქსიც მაგალითად შეფუთული ბრენდირებული ჩაი საქართველოში საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულია ამას მივესალმები, რადგან თავისუფალ კონკურენციაში შეგვიძლია ყოფნა.

ჩვენ ჩაის ნედლეულის სახით ვყიდით: აშშ-ში, გერმანიაში, უკრაინაში, არგენტინაში და ინდონეზიაში. რაც მთავარია ჩვენ გვენდობიან. ხარისხობრივი თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ღვინის სფეროში უდიდესი წარმატებაა. ძალიან დიდი მადლობა რუსეთს იმისათვის, რომ ღვინის ბაზარი ჩაკეტა და ბიზნესმენებად გვაქცია.

*– ახალგაზრდა საკმაოდ დიდ თანამდებობაზე იყავით დანიშნული. გუბერნატორობა და ფინანსთა მინისტრობა რატომ გადაწყვიტეთ?*

– ამჟამინდელი გამოცდილება რომ მქონოდა, მაშინ ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. 1988 წლიდან პოლიტიკაში ვიყავი ჩართული. პოლიტიკაში ჩემი ჩართულობა ეკონომისტობიდან გამომდინარე მოხდა, ასევე მაშინ საინტერესო პერიოდი იყო.

*– დღევანდელ ეკონომიკურ გუნდზე რას ფიქრობთ?*

– ძალიან დიდი ხანია ვიცნობ და პროფესიული თვალსაზრისით დიდ პატივს ვცემ პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. ის ძალიან დაბალანსებული პიროვნებაა. მე მუდმივად მომხრე ვარ სწრაფი სვლის და ტემპი არასდროს მაკმაყოფილებს, დღეს ტემპი ბევრად სწრაფიც შეიძლება იყოს. ჩვენი მოვალეობაა ის, რომ ვუთხრათ ტემპი არასაკმარისია და მეტი ტემპი გვჭირდება.

**კომერსანტი**

# რატომ შემცირდა ინდოელი ტურისტების რიცხვი საქართველოში?

ტურიზმი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია, რადგან მისგან ქვეყანა სოლიდურ შემოსავალს იღებს.

ჩვენს ქვეყანაში ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, ცხადია, ტურისტული ნაკადის ზრდასთან ერთად მატულობს მათი რიცხვი, ვისაც საქართველოში შემოსვლაზე უარს ეუბნებიან. კანონმდებლობის მიხედვით, ვიზიტორს საზღვრიდან იმ შემთხვევაში აბრუნებენ, თუ დოკუმენტაცია წესრიგში არა აქვს. ცნობილია, რომ 2017 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრიდან 7, 867 ადამიანი გააბრუნეს, მათგან 18% ინდოეთის და 9% ბანგლადეშის მოქალაქე იყო. როგორც წესი, უკან გაბრუნებული პირები ამტკიცებენ, რომ ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდათ, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო საქართველოში არ შემოუშვეს.

რატომ აბრუნებენ ტურისტებს საზღვრიდან, ამის თაობაზე ტურიზმის ადმინისტრაციაში ზუსტი პასუხი არა აქვთ. ამ უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ამბობენ, რომ საზღვრის დაცვის მუშაკების გადასაწყვეტია, ვის შემოუშვებენ ქვეყანაში და ვის – არა. ტურისტულ კომპანიებში კი აცხადებენ, რომ თითოეული უკან გაბრუნებული ადამიანის გამო სწორედ ისინი ზარალდებიან. როგორც „იბერია ტურს პლუსის“ ხელმძღვანელმა მაია მურაჩაშვილმა გვითხრა, რამდენიმე თვის წინ ინდოელი ტურისტების 3 ჯგუფი გააბრუნეს საქართველოს საზღვრიდან, რის გამოც მისი კომპანია სერიოზულად დაზარალდა:



**მაია მურაჩაშვილი:**

– ჩვენმა კომპანიამ ამ პროცესის გამო სოლიდური ზარალი ნახა: რამდენიმე თვის წინ საქართველოს საზღვრიდან უკან გააბრუნეს ინდოელი

მოქალაქეების სამი ჯგუფი. როდესაც ჩემი ტურისტების გამო პასუხი მოვითხოვე, მითხრეს, რომ მათი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა ვყოფილიყავი! სამივე ჯგუფში 70 ადამიანი იყო და 70 კაცის მინდობილი პირი როგორ ვიქნებოდი? მათ შორის იყვნენ ცნობილი ბრენდის – „თომას კუკის“ კლიენტები. არაერთი სახელმწიფო იხვეწება, რომ ეს კომპანია მათ ტერიტორიაზე შევიდეს. „თომას კუკი“ – ეს არის უდიდესი კონგლომერატი, რომელიც 150 წელია ამ სფეროში საქმიანობს. ეს კომპანია ტურიზმის მამამთავარია და ასეულობით ქვეყანაში წარმატებით საქმიანობს. მარტო „თომას კუკი“ შემოიყვანდა მომავალში ასეულობით ტურისტს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი კლიენტები უკან გააბრუნეს. რა თქმა უნდა, ინდურმა მედიამ ეს ფაქტები აქტიურად გააშუქა და ძალიან მწვავედ შეაფასა, ამას მოჰყვა დიდი გამოხმაურება და მოწოდებები – „აღარ წახვიდეთ საქართველოში“. ამის გამო ინდოელ ტურისტებს შორის საქართველოზე მოთხოვნა აღარ არის. შემოდიან ინდოეთის ის მოქალაქეები, რომლებიც დუბაის რეზიდენტები არიან, მაგრამ თავად ინდოეთიდან ტურისტები იშვიათად გვყავს და საკმაოდ კარგი ბაზარი დავკარგეთ.

ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, უკან გაბრუნების მოტივად ბევრ მიზეზს ასახელებენ, თუმცა მათი უმრავლესობა რეალობას მოკლებულია:

– ამის მიზეზად ხშირად ასახელებენ ვალიდური ონლაინვიზების არარსებობას, არადა, უკან გაბრუნებულ ვიზიტორებს ონლაინვიზები წესრიგში აქვთ და ეს ვიზები გაცემულია ჩვეულებრივად – ონლაინრეჟიმში. ამბობენ იმასაც, რომ ტურისტები შეკითხვებზე სარწმუნო პასუხს ვერ სცემენ, მაგრამ რა სახის შეკითხვებს ვერ პასუხობენ, ჩემთვის ეს საკითხიც გაურკვეველია. ტურისტების უკან გაბრუნების რეალურ მიზეზს არავინ გვეუბნება, ამბობენ, რომ სასაზღვრო პოლიციამ ასე გადაწყვიტა. არადა, ისეთი ხალხი გააბრუნეს უკან, რომელსაც შენგენის, აშშ-ის და ინგლისის მოქმედი ვიზა ჰქონდა. ჩვენი კომპანიის კლიენტების მაგალითზე გეტყვით: მათ სრულ უმრავლესობას თანხა წინასწარ, 100 პროცენტით ჰქონდა გადახდილი და ამ თანხის უკან დაბრუნება მოგვიხდა. თავისთავად ცხადია, რომ ამის გამო მარტო ტურისტულმა ფირმებმა კი არ იზარალეს, მთელმა ტურისტულმა სექტორმა და ჩვენმა სახელმწიფომაც დიდი დანაკარგი ნახა.

საქართველოს ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელი ნატო კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ ვიზიტორთა უკან გაბრუნება არ არის მასობრივი პროცესი, მაგრამ ერთეულ შემთხვევებშიც ყურადღების გამოჩენა გვმართებს:

**ნატო კვაჭანტირაძე:**

– ეს შეიძლება ერთეული ფაქტები იყოს და მხოლოდ კონკრეტული კომპანიების მაგალითზე ვისაუბროთ, მაგრამ ქვეყანაში შემოსულ თითოეულ ტურისტთან მაინც ფრთხილი მოპყრობაა საჭირო. სწორედ მათ გააქვთ აქედან დადებითი ან უარყოფითი ინფორმაცია, რომელიც ქვეყნის იმიჯზე ძალიან მოქმედებს. რა თქმა უნდა, ინდოელებიც შემოდიან და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც. ტურიზმი ძალიან ფაქიზი სფეროა და როცა ქვეყანაში სტუმარი შემოდის, თითოეულმა უწყებამ, თითოეულმა მოქალაქემ უფრო მეტი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოს, – ამბობს ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელი.

**ბპნ**

# როგორ იყოფა მეუღლეთა საერთო ქონება და ვალი განქორწინებისას

მეუღლეთა შორის ქორწინებისას წარმოშობილი უფლება-მოვალეობები განქორწინების შემთხვევაში ზოგჯერ დავის საგანი ხდება.

როდესაც მეუღლეები თანასაკუთრების გაყოფაზე ვერ თანხმდებიან, დავას ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე სასამართლო წყვეტს.

საადვოკატო ბიურო OK&CG-ის იურისტის ანა გორდეზიანის თქმით, „საქართველოს კანონმდებლობით მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მისივე განმარტებით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება მაშინაც წარმოიშობა, თუ ერთ-ერთი მათგანი საოჯახო საქმიანობას ეწეოდა, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

იურისტის თქმით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ და ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ხორციელდება.

– იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. ასეთ პირობებში მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი მოითხოვოს.

თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად,

თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არის დადგენილი.

მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო, თუ ასეთი შეთანხმება არ არის მიღწეული, მაშინ – სასამართლოს მიერ. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.



თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია, – აღნიშნავს იურისტი.

აღსანიშნავია, რომ იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი საქართველოს კანონმდებლობით თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუმცა, როგორც იურისტი აცხადებს, სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვიოს.

– კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა ანდა თუ მეორე მეუღლე საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯავდა. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს არის შეძენილი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეუღლეთა საერთო ვალებიც მათ საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად იყოფა. ცნობისთვის, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისთვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, – აღნიშნავს იურისტი.

**ბპნ**

# ბორჯომ-ბაკურიანის სასტუმროებში ნომრების 50%-ზე მეტი დაჯავშნილია

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ნომრებს საუდის არაბეთიდან ჯავშნიან.

რაც შეეხება ბორჯომში მდებარე სასტუმროებს, „ბორჯომი პალასის“ მენეჯერი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „ივნისის თვეში სასტუმროს ნომრების 75%-ია დაჯავშნილი, ივლისში – 45%, ხოლო აგვისტოში – 40%. უფრო მეტად არის საერთაშორისო და ინდივიდუალური ჯავშნები. ნომრებს ჯავშნიან ყაზახეთის, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეები“.

სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანშიც“ აცხადებენ, რომ უცხოელებს შორის ყველაზე მეტი ჯავშანი ყაზახეთის მოქალაქეებს აქვთ გაკეთებული.

– ამ დროისთვის ჩვენი ნომრების 56%-ია დაჯავშნილი. თანაბრად არის მოთხოვნა, როგორც ადგილობრივების, ასევე უცხოელების მხრიდან. ბალნეოლოგიური მიმართულებით, ძირითადად ყაზახეთის მოქალაქეებს აქვთ ჯავშანი გაკეთებული. ასევე, ჯავშანი აქვთ გერმანიის, ჩინეთის, ისრაელის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის მოქალაქეებს. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ჯავშანი აქვთ გაკეთებული ემიგრანტ ქართველებს, ძირითადად რუსეთში მცხოვრებთ, რომლებიც სასტუმროს ნომრებს საქართველოში მცხოვრები თავიანთი ოჯახის წევრებისთვის ჯავშნიან, – აცხადებენ სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანში“.

**ბპნ**

# გურამ დონაძე სოზარ სუბარს ბრალს სდებს: „შენი ბიძაშვილის ბრძანებით დათუნა და ლევანი ხორავას ქუჩის ფარდულში დაკლეს და სუბელიანი ხელშეუხებლობის გარანტიას შენგან იღებდა“




გურამ დონაძე სოზარ სუბარს დავით სარალიძის მკვლელობის საქმეში დამნაშავის მფარველობაში ადანაშაულებს.

ამის შესახებ დონაძე სოციალურ ქსელში პოსტს ავრცელებს.

„სოზარ სუბარო, მოგიბრუნდა უკან, რასაც მე მეძახდი წლების წინ.

თუმცა მე მკვლელი არ აღმოვჩნდი, მაგრამ შენ ნამდვილად ხარ მკვლელი.

თუ არ ხარ, მაშინ გაასაჯაროვე შენი და შენი ბიძის სატელეფონო დეტალები იმ დღის, როცა შენი ალალი ბიძის შვილის ბრძანებით დათუნა და ლევანი ხორავას ქუჩის ფარდულში ღორებივით დაკლეს და ვნახავთ, გირეკავდა თუ არა პირად ტელეფონზე ყოველ წუთას იმ დღეს პროკურორი მირზა სუბელიანი და გითანხმებდა თუ არა, როგორ მალავდა დანაშაულის შესახებ მთავარ დეტალებს და რომ მომხდარი დანაშაულის კვალს ისე აურევდა, რომ მკვლელობის დამკვეთი მის შვილს სუფთას დატოვებდა. დიახ, სწორედ შენგან იღებდა პროკურორი სუბელიანი მის შვილზე სამთავრობო ხელშეუხებლობის გარანტიას და თან მუდმივად გახსენებდა „სოზარ, ხო იცი, ბავშვს დამიჭერთ, ვანოს კადრები მაქვს“ (ზ. კუპრავას ინფორმაციით).

სუბარო, სანამ ოპოზიციაში ეგდე, გაიხსენე, როგორ იხევდი ტანზე შემთხვევით თუ სხვადასხვა მიზეზით გარდაცვლილთა სულებს და იყენებდი მათ ოჯახებს მხოლოდ და მხოლოდ შენი ბინძური და დაუბანელი უკანალის დასადებად სამთავრობო სკამისთვის. ამიტომ ხარ უდიდესი ნაძირალა და არაკაცი !!!“ – წერს გურამ დონაძე ფეისბუქის გვერდზე.

## კახეთში 63 წლის მამაკაცს ყელი გამოსჭრეს

თელავში, სოფელ რუისპირში, 63 წლის მამაკაცს ყელი გამოსჭრეს.

მოკლული ალექსანდრე პაპუნაშვილი მისმა ახლობელმა იპოვა, რის შემდეგაც ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ.

მამაკაცი სახლში მარტო ცხოვრობდა. ის რამდენჯერმე, მათ შორის თანასოფლელის მკვლელობისთვის, იყო ნასამართლევი. ერთი-ერთი ვერსიით, პაპუნაშვილის მკვლელობა შესაძლოა შურისძიებას უკავშირდებოდეს.

შსს ინფორმაციით, სავარაუდო ეჭვმიტანილი დაკავებულია. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

## ზუგდიდში „თიბისი ფეის“ ინკასატორს 120.000 ლარი წაართვეს

ზუგდიდში „თიბისი ფეის“ ინკასატორი დააყაჩაღეს, რომელიც სოფელ ყულიშკარის ერთ-ერთ უბანში სასაფლაოებთან დატოვეს.

შემთხვევა 26 მაისს მოხდა.

ადგილობრივის ინფორმაციით, ინკასატორი მასთან სახლში მივიდა და დახმარება სთხოვა.



– საღამო იყო, ეს კაცი მანქანით ჩემს ჭიშკართან რომ მოვიდა. დამაყაჩაღესო, მითხრა, მანქანასაც და მასაც ბენზინი ჰქონდა გადასხმული. მაშინვე დავრეკეთ პოლიციაში. ამბობდა, თავში ჩამარტყესო, შეშინებული იყო, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ყულიშკარის მკვიდრმა დემურ ქანთარიამ.

არსებული ინფორმაციით, ინკასატორს ყაჩაღი დაახლოებით დღის 3 საათზე ზუგდიდში, რკინიგზის სადგურთან მდებარე სუპერმარკეტ „სმარტთან“ ჩაუჯდა. ნიუპოსტის ცნობით, უცნობმა, იარაღის მუქარით, ჩარიცხვის აპარატებიდან ამოღებული თანხა, დაახლოებით 120.000 ლარი წაართვა, ჯიხაშკარის ტყეში აიყვანა და ხელფეხშეკრული დატოვა.

პოლიციამ გატაცებული მანქანა იპოვნა. საქმე ყაჩაღობის მუხლის არის აღძრული.

ბოლო ორი თვის განმავლობაში ეს სამეგრელოში ინკასატორზე თავდასხმის უკვე მეორე შემთხვევაა.

## ახმეტაში სპორტსკოლის დირექტორს სცემეს

ახმეტაში სპორტსკოლის დირექტორს სცემეს. მამუკა აბრამიშვილს რამდენიმე პირმა სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენა.

ვრცელდება ვერსია, რომ მას ფიზიკურად იმიტომ გაუსწორდნენ, რომ ძიუდოს ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საპროტესტო აქციაზე წასვლა სურდა.

დაზარალებულის ოჯახის წევრები ჟურნალისტებთან არ საუბრობენ. გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

## ტარიელ კაკაბაძე: „დავით სარალიძე წარმოდგენილი დანებით არ არის მოკლული“



– ექსპერტმა მეცნიერულ დონეზე ახსნა და დაამტკიცა, რომ მომაკვდინებელი ჭრილობა საერთოდ არ არის მიყენებული იმ დანებით, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს აქვს წარმოდგენილი.

ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– ექსპერტმა კატეგორიულად განაცხადა, რომ დავით სარალიძის სხეულზე რამდენიმე ჭრილობაზე საერთოდ არ არის გამოყენებული დანა. ასევე, დაადგინა ის, რომ დანის ნაცვლად გამოყენებულია სხვა საგნები, რითიც მიყენებულია დავით სარალიძის სხეულზე უმთავრესი დაზიანებები. ექსპერტმა თქვა, რომ სხვა საგნებიდან შესაძლოა გამოყენებული იყო მაკრატელი. ეს არა ერთი, არამედ რამდენიმე საგანია, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, ექსპერტმა მეცნიერულ დონეზე ახსნა და დაამტკიცა, რომ მომაკვდინებელი ჭრილობა საერთოდ არ არის მიყენებული იმ დანებით, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს აქვს წარმოდგენილი.

– ამით დასტურდება, რომ სხვა ადამიანებმა და რამდენიმე პიროვნებამ მოკლა დავით სარალიძე. თუმცა ბრალდება კვლავ იმ ჩვენებაზეა, რომ მხოლოდ ორმა ადამიანმა და ორმა დანამ მიაყენა მას დაზიანებები, – აღნიშნა ადვოკატმა.

მან მიუთითა, რომ არსებობს მოწმე, რომელიც პირდაპირ ადებს ხელს სხვადასხვა პირებს.

– როგორ შეიძლება ეს არ გაითვალისწინო გამოძიებამ და დაეყრდნო მხოლოდ იმ მოწმეს, რომელმაც რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება და რომელსაც თავად ამხელენ ჩადენილ დანაშაულში და რომლის მიმართაც უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

## შსს–მ 64 წლის ქალის დაყაჩაღებაში ბრალდებული დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1988 წელს დაბადებული რ.გ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2017 წლის 29 დეკემბერს, ცივი იარაღით შეიარაღებული, ნიღბიანი რ.გ., თანამზრახველებთან ერთად, წალკის რაიონის სოფელ აიაზმაში, ყაჩაღურად თავს დაესხა 1954 წელს დაბადებული ნ.მ.-ს საცხოვრებელ სახლს. თავდამსხმელებმა ქალბატონს სიცოცხლის მოსპობის მუქარით 40 ათასი ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები, 14 ათასი ლარი, 100 ათასი რუბლი, 300 ევროს ღირებულების მობილური ტელეფონი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას ნაყაჩაღარი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.გ. ბათუმში დააკავეს. ბრალდებულის თანამზრახველების დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

გამოძიება ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

## ქუთაისში საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან პაციენტი გადახტა

ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრის მეოთხე სართულიდან პაციენტი გადახტა.




შემთხვევა გუშინ, 27 მაისს, დილით მოხდა.

შუახნის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარის დეტალები უცნობია. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერვენციული მედიცინის ცენტრში კომენტარი ამ დრომდე არ კეთდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## იტალიაში ბინის გაქურდვის მცდელობისას საქართველოს მოქალაქე დააკავეს

იტალიაში ბინის გაქურდვის მცდელობისას საქართველოს მოქალაქე დააკავეს. იტალიური მედიის ცნობით, 33 წლის მამაკაცი ქალქ ფუჩეკიოში იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ერთ-ერთი სახლის კარის გაღებას ცდილობდა.




პოლიცია მეზობელმა გამოიძახა. სამართალდამცავებმა მამაკაცის ჩხრეკის დროს გასაღებების აცმა აღმოაჩინეს, რომლითაც ის სავარაუდოდ, სახლების კარის გაღებას ცდილობდა.

დაკავებულის პირადობის მოწმობის გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ქურდობისთვის ერთხელ უკვე იყო დაპატიმრებული. პოლიციის ცნობით, მან თებერვალში პენსიონერის სახლი გაქურდა და სამართალდამცველებმა დააკავეს. მოქალაქე წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

## ჟურნალისტი ნოდარ ჩაჩუა დააკავეს

დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი, ნოდარ ჩაჩუა, დააკავეს.

ინფორმაცია ონლაინგამოცემა ბათუმელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ დაუდასტურა. მისი თქმით, ნოდარ ჩაჩუა გუშინ ღამით დააკავეს.

ბათუმელების წყაროს ინფორმაციით, ჟურნალისტი დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვის ბრალდებით საკუთარ სახლში აიყვანეს.

კურიერი შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც მომხდარი არც დაადასტურეს და არც უარყვეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ალექსანდრე ტურჩინოვი: „რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება!“

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ტურჩინოვმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციისთვის ემზადება.

– თანახმად ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციისა, შეტევა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, 15 ივლისს დაიწყება, – ამტკიცებს ტურჩინოვი.



ამას რუსი სამხედრო ექსპერტი პავლე ფოლკენგაუერიც ეთანხმება. მისი აზრით, რუსეთი უკრაინაში შეჭრას მართლაც ამზადებს.

– პუტინს ომი ზაფხულში უყვარს. რუსებიც შეტევას, სავარაუდოდ, ივლის-აგვისტოში დაიწყებენ, – ამბობს ფოლკენგაუერი.

აშშ-ის კონგრესმა მიიღო დადგენილება უკრაინისთვის 250 მილიონი დოლარის ლეტალური იარაღის მიწოდების თაობაზე.

მოსკოვისთვის არასასურველი შედეგით დასრულდა დონბასში 2014 წელს ჩამოგდებული ჰოლანდიური ბოინგის გარშემო ჩატარებული გამოძიებაც. დადგინდა, რომ თვითმფრინავი რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს. ავსტრალიამ და ნიდერლანდებმა ბოინგის ჩამოგდებაში ოფიციალურად დაადანაშაულეს რუსეთი.

რაც შეეხება უკრაინას, მოსახლეობის 81% რუსეთს მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს. რუსეთის აგრესიის შემთხვევაში უკრაინელთა 62% მზად არის, იარაღით ხელში სამშობლოს სადარაჯოზე დადგეს.

რუსული ინტერვენცია, თუ ის მართლაც შედგა, მოსკოვისთვის არცთუ სახარბიელო შედეგებით დასრულდება.

## ნატომ უნგრეთს უარი უთხრა

უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა ნატოს გენერალურ მდივან სტოლტენბერგს ოფიციალური წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატომ უკრაინასთან პარტნიორობის პროგრამა აუცილებლად უნდა შეაჩეროს.



– უკრაინაში ეროვნული უმცირესობის უფლებები ირღვევა, – ამტკიცებს ორბანი.

იენს სტოლტენბერგმა საპასუხო წერილში განაცხადა, რომ უკრაინაში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა მიმდინარეობს. ადამიანის უფლებები დაცულია და არც ეროვნულ უმცირესობათა უფლებები ილახება.

– არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ ნატო-უკრაინის თანამშრომლობის პროექტი შევაჩეროთ, – აცხადებს სტოლტენბერგი.

## ირლანდიელებმა აბორტების ლეგალიზაციას მხარი დაუჭირეს

აბორტების ლეგალიზაცია ირლანდიისთვის უმწვავესი თემა იყო. საზოგადოება ორად იყო გაყოფილი. ხელისუფლებამაც რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა.



რეფერენდუმში მონაწილეობა მოსახლეობის 66%-მა მიიღო.

აბორტების ლეგალიზაციას მხარი 66%-მა დაუჭირა. წინააღმდეგ წავიდა 32%. ამგვარად ირლანდიაში აბორტი ლეგალური გახდა.

## თურქმენეთი: რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი გაათავისუფლეს

თურქმენეთის ხელისუფლებამ პატიმრობიდან რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი ბეპესკულიევი გაათავისუფლა.



ის ცნობილია, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი კრიტიკოსი და ამის გამო არაერთგზის გააფრთხილეს. როცა არაფერმა გაჭრა, მას ნარკოტიკები „აღმოუჩინეს“ და ციხეში უკრეს თავი.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლით ბეპესკულიევი გაათავისუფლეს. პატიმრობამ ჟურნალისტის ჯანმრთელობა შეარყია და ბეპესკულიევიც სარეაბილიტაციო მკურნალობას საჭიროებს.

## აშშ–მ ასადი გააფრთხილა

სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ მისი არმია ქვეყნის სამხრეთში შეტევას დაიწყებს. საუბარია ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს პარტიზანები აკონტროლებენ. პარალელურად აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსული თვითმფრინავებიდან ჩამოყარეს ფურცლები, რომლებშიც ნათქვამია, რომ მალე სირიის არმია შეტევას დაიწყებს და მოსახლეობამ, სასურველია, იქაურობა დატოვოს.



აშშ-ის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ შეტევის დაწყება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების უხეში დარღვევაა. აშშ-ის ხელისუფლებაც აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში მკაცრ ზომებს მიიღებს.

– ბატონ ასადს ვაფრთხილებთ, მის მიერ შეტევის დაწყება მისთვისვე საბედისწეროდ დასრულდება, – ასეთია ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია.

## სირიაში 4 რუსი სამხედრო მოკლეს

სირიაში რუს სამხედროებს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება. უწყების ინფორმაციით, 4 სამხედრო მრჩეველი დაიღუპა და 3 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.



ამასთან, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაახლოებული მედიაწყაროების ინფორმაციით, ტერორისტულმა დაჯგუფებამ დეირ-ელ-ზორის პროვინციაში, ქალაქ მაიადინის მახლობლად, რუსი და ირანელი სამხედროების კოლონაზე მიიტანა იერიში. მათი ინფორმაციით, შეტევას 15 სამხედრო ემსხვერპლა.

რუსეთის თავდაცვის უწყებაში ამტკიცებენ, რომ საპასუხო ცეცხლის დროს 43 „ტერორისტის“ ლიკვიდაცია მოხდა.

## ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საზღვარზე ერთმანეთს კიმ ჩენ ინი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მუნ ჩჟე ინი შეხვდნენ. საუბრის ძირითადი თემა კიმ ჩენ ინისა და დონალდ ტრამპის მოსალოდნელი შეხვედრა იყო.



ტრამპის პრესმდივანმა სარა ჰაკაბიმ „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ შესაძლოა ტრამპი და კიმ ჩენ ინი სინგაპურში ერთმანეთს მართლაც შეხვდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი უკვე არსებობს.

– ჩვენი გუნდი სინგაპურში უკვე გაემგზავრა, რათა კიმისა და ტრამპის შეხვედრა მოამზადოს, – აცხადებს ჰაკაბი.

## კოლუმბია ნატოს გლობალური პარტნიორი ხდება

კოლუმბია ნატოს გლობალური პარტნიორი ხდება. ამის თაობაზე ოფიციალურ ხელშეკრულებას ხელი მომავალ კვირას ბრიუსელში მოეწერება.



– ამ შეთანხმებას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, – განაცხადა კოლუმბიის პრეზიდენტმა სანტოსმა.

კოლუმბია ლათინური ამერიკის პირველი სახელმწიფოა, რომელიც ნატოსთან ასეთ შეთანხმებას გააფორმებს.

## რუსეთი თურქეთს გაზს შეღავათიან ფასებში მიაწვდის




თურქეთში ვადამდელი არჩევნები ახლოვდება. ერზერუმში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე პრეზიდენტმა ერდოღანმა გამოაცხადა, რომ რუსეთი თურქეთს გაზს შეღავათიან ფასად მიაწვდის.

– თავდაპირველად რუსებს ეს არ სურდათ, მაგრამ ჩვენ საერთაშორისო არბიტრაჟს მივმართეთ და ჩვენსას მივაღწიეთ, – თქვა ერდოღანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

- შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.
- სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# ქართული კლასიკო ფრედ დასრულდა. ლოკომოტივი ლიდერებს დაერია

**ტორპედო-დინამო 1:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 კუტალია (6), 1:1 შულაია (15)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, მამასახლისი, სარდალიშვილი (წიქარიძე 62), კაპანაძე (კუჭუხიძე 79), გურული, კუტალია, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური (ლიპარტია 88)

**დინამო:** ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ივანისენია, ნინუა (ქოჩლაძე 75), შულაია, კიტეიშვილი, ივანიშვილი (ერგემლიძე 71), ზივზივაძე (ბაბუნაძე 90)

69-ე ქართული კლასიკო ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე ვაჟა ტაბატაძის ჩაწოდების შემდეგ ლევან კუტალიამ თავური დარტყმით დააწინაურა მასპინძლები.

თბილისელებმა სახიფათო დარტყმით მე-13 წუთზე უპასუხეს: დმიტრო ივანისენიას გასროლილი როინ კვასხვაძეს ხელებში მიუვიდა. მომდევნო შეტევაში უკვე ბუდუ ზივზივაძე აქტიურობდა, მისი ნახევარბრუნში დარტყმული ისევ მეკარის ნადავლი გახდა. დინამოელთა შეტევებმა ნაყოფი მე-15 წუთზე გამოიღო და ლამაზი კომბინაციის შედეგად წონასწორობა აღადგინეს: ოთარ კიტეიშვილმა ზივზივაძე მონახა საჯარიმოს ხაზთან, რომელმაც ერთი შეხებით გადაუმისამართა აკაკი შულაიას და მანაც ზუსტი დარტყმით აიღო მასპინძელთა კარი.

გოლიდან 10 წუთში დედაქალაქელებმა კიდევ ერთი სახიფათო შეტევა განახორციელეს, რომლის დასრულება ვერც კიტეიშვილმა მოახერხა და ვერც ნიკა ნინუამ.

ნახევარი საათის თავზე ორივე გუნდმა სახიფათო მომენტები გაცვალეს. ჯერ თორნიკე კაპანაძე ურტყამდა მაკრატელას, მაგრამ – არაზუსტად, საპასუხოდ კი, კიტეიშვილი ცრუ მოძრაობით შეიჭრა საჯარიმოში, მისი კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბოლო წამს კვასხვაძემ გააქვავა.

37-ე წუთზე უკვე დემეტრე ბულისკერიამ იხსნა სტუმართა კარი, როდესაც მიშიკო სარდალიშვილის ძლიერად დარტყმული კუთხურზე მოიგერია. პირველი ტაიმი, რომელმაც სანახაობრივ და მაღალ რიტმში ჩაიარა 1:1 დასრულდა.

კლასიკოს მეორე ნახევარი პირველის მსგავსი არ ყოფილა. მართალია, ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა, თუმცა რეალურ ხიფათამდეც საქმე არ მისულა. ერთადერთი, 75-ე წუთზე ქუთაისელებმა გაითამაშეს სახიფათო კომბინაცია, რომელსაც გრიგოლ დოლიძე უძლიერესი დარტყმით ასრულებდა, ბურთი დემეტრე ბულისკერიამ აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

მატჩის ბოლო წუთებზე სტუმრები გააქტიურდნენ და მიჯრით ორჯერ სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან. ჯერ ლაშა ქოჩლაძის დარტყმაა აღსანიშნავი და შემდეგ ბუდუ ზივზივაძის თავური, რომელიც სულ მცირედით ასცდა კარს.

საბოლოოდ – 1:1.

**სიონი-დილა 2:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 კოვტალიუკი (10), 1:1 ხმალაძე (59პ), 1:2 რიბეირო (66პ), 2:2 ნოზაძე (77)

**სიონი:** მუჯრიშვილი, მინდორაშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, ქიქავა, ხმალაძე, დვალი (ბერიაშვილი 56), მიქაბერიძე (უგულავა 67), ც.სამუშია (ლეჟავა 46), გაფრინდაშვილი, გიორბელიძე

**დილა:** ბეგაშვილი, ჩადუნელი, რაზმაძე, ქავთარაძე, ნონიკაშვილი, კერელეიშვილი, ლემპტი, კვახაძე, რიბეირო (გ. სამუშია 83), ფორტესი (რაჟამაშვილი 46), კოვტალიუკი (ფანცულაია 54)

ორჯერ იგებდნენ გორელები ამ შეხვედრაში, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. შესაძლოა, ითქვას, ამაში გარკვეული წვლილი მთავარ მწვრთნელ გიორგი დარასელიასაც მიუძღვის. თუ რატომ, ამას ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ...



დილამ კარგად დაიწყო მატჩი. სჯობდა მეტოქეს, მაგრამ არც სიონი იდგა ყრუ დაცვაში, შეტევებში გადადიოდა და... დაისაჯა. გორელებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, ლევან ნონიკაშვილის პასი მიკოლა კოვტალიუკმა მიიღო, კარიდან შორს გამოსული მიხეილ მუჯრიშვილი მოატყუა და ცარიელ კარში გადაგზავნა.

გოლის შემდეგ ბოლნისელები შედარებით გააქტიურდნენ. გიორგი მიქაბერიძესა და ლევან ხმალაძეს ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდათ, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორეს. თავის მხრივ, რიბეიროსაც შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ აჯობა.



მეორე ტაიმი დილამ ალვინ ფორტესის გარეშე დაიწყო. მალევე, გიორგი დარასელიამ მიკოლა კოვტალიუკს ასპროცენტიანი საგოლე მომენტის გაფუჭება არ აპატია და შეცვალა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კოვტალიუკმა ბურთი მეკარეს კი გადააცილა, მაგრამ ცარიელ კარშიც ვერ მოარტყა.

2 წამყვანი ლეგიონერის შეცვლის შემდეგ, დილას შეტევები ისეთი ვერ იყო, როგორც პირველ ტაიმში. მით უფრო, რომ სიონმა გაათანაბრა ანგარიში – გაფრინდაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, ლევან ხმალაძემ გოლად აქცია.

მალევე პენალტი სიონის კარშიც დაინიშნა – საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი ლუკა ნოზაძეს ხელზე მოხვდა. რიბეირომ 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

მეორედ ჩამორჩენილმა სიონმა ისევ გასატანად გაიწია: ჯაბა უგულავასა და გიორგი ბერიაშვილს მართებდათ გოლის გატანა. უგულავას დარტყმულზე საოცარი სეივი შემოგვთავაზა გიორგი ბეგაშვილმა, ხოლო ბერიაშვილმა კარს ააცილა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მომენტის დროს, სიონის ფეხბურთელები თავით ცდილობდნენ გატანას, რაც საგანგაშო უნდა ყოფილიყო დილასთვის. თუმცა, მაინც უყურადღებოდ განაგრძეს თამაში და 77-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ, ნოზაძემ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილ დროში სიონს მოგებაც შეეძლო, როდესაც მორიგი სტანდარტის შემდეგ, ბეგაშვილი შეცდა და მეკარისაგან დაუცველ კარში, უგულავამ ძელს გაარტყა ბურთი.

მეტი საგოლე არაფერი მომხდარა, თუმცა, ორივე გუნდი ცდილობდა, შეეცვალა ანგარიში. საბოლოოდ, 2:2.

**ჩიხურა-ლოკომოტივი 1:3**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

1:0 ბუღრიძე (4) 1:1 შონია (36) 1:2 უბილავა (59) 1:3 ჯიქია (90)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, მირცხულავა, მეგრელიშვილი, ბუღრიძე (ლექვთაძე 49), კაკუბავა (ჩიხლაძე 70), ჩიკვაიძე, გაბედავა, ბუხაიძე (ცხადაძე 67), მარკოზაშვილი

**ლოკომოტივი:** შეროზია, გაბაძე, ჭანტურია, ლობჟანიძე, უბილავა, ძებნიაური, შონია (გვალია 58), კობახიძე (ინჯგია 70), კიკაბიძე (ცნობილაძე 80), გავაშელიშვილი, ჯიქია

ლოკომოტივმა თბილისის დინამოსა და ქუთაისის ტორპედოსთან გამარჯვების შემდეგ, საჩხერის ჩიხურაც დაამარცხა. გამოდის, ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ლოკომოტივმა ყველა იმ გუნდს მოუგო, ვინც საქართველოს სახელს ევროტურნირებზე დაიცავს.

არადა, მატჩი საჩხერელებმა უკეთ დაიწყეს და უკვე მე-4 წუთზე ირაკლი ბუღრიძის გოლით დაწინაურდნენ.

გატანილი გოლის შემდეგ ჩიხურამ უკან დაიხია და ინიციატივა ლოკომოტივს დაუთმო. გოლის გატანა თემურ შონიას შეეძლო, რომლის საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმა დინო ჰამზიჩმა მოიგერია. მოგვიანებით, შონიამ მაინც გაიტანა – დავით უბილავას საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის დროს, თბილისელთა ნახევარმცველმა შორეული ძელი კარგად „ჩაკეტა“ – 1:1.

ლოკომოტივმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყო და შედეგი მე-60 წუთზე გამოიღო – მამია გავაშელიშვილი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ჰამზიჩმა აჯობა, თუმცა, დამატებაზე ყველას დავით უბილავამ დაასწრო და ლოკომოტივი დააწინაურა.

სოსო ფრუიძის გუნდი ბევრს ეცადა მატჩის გადარჩენას, თუმცა, სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდათ. მეტიც, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში, ჩიხურას დავით ჯიქიას კონტრშეტევა გაეპარა და მანაც მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**კოლხეთი-სამტრედია 2:2**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 მიხალიოვი (5) 1:1 ბაჩიაშვილი (42) 1:2 გიი (48პ) 2:2 იმნაძე (67)

**კოლხეთი:** პოლტავცევი, ჭეიშვილი, გოგონაია, მახარაძე, კილასონია (არზიანი 53), ტყემალაძე, დანილოვი (კვასოვი 79), ჯიმშელეიშვილი (კაბორე 50), კახელიშვილი, იმნაძე, მიხალიოვი

**სამტრედია:** სტურუა, ჩაჩუა, კერძევაძე, ფატიჩი, ბაჩიაშვილი, მესიაჩენკო, ახალაძე, კირკიტაძე (ქაშიბაძე 75), გი, ნინუა (ვეილი 46), ხაბეიშვილი (ოლხოვი 67)

**გაძევება:** ფატიჩი (51)

სამტრედიელები კრიზისში არიან. მატჩის წინ, გუნდი 3-მა ფეხბურთელმა დატოვა – ბუბა დაუშვილმა, ომარ მიგინეიშვილმა და სიდი სანიამ. თუმცა, იმერულმა კლუბმა ქულის აღება მაინც შეძლო.

კოლხებმა კარგად დაიწყეს და მე-4 წუთზე ილია მიხალიოვის გოლით დაწინაურდნენ. ამის შემდეგ სამტრედიამ სათამაშო ინიციატივა მოიპოვა და ბადრი კვარაცხელიას გუნდი მეტად აკონტროლებდა ბურთს, თუმცა, განსაკუთრებულ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ანგარიში პირველი ნახევრის მიწურულს, ვაკო ბაჩიაშვილის ულამაზესი გოლით გათანაბრდა. პოლტავცევმა კარი დატოვა და ზაურ ხაბეიშვილს არ გაატანინა, მაგრამ ბურთი ბაჩიაშვილს მიუვიდა, რომელმაც გამოზომილი დარტყმით ცხრიანში ჩასვა ბურთი.

სამტრედია მეორე ნახევრის სტარტზევე დაწინაურდა. 11-მეტრიანი ინტერს გიიმ ზუსტად შეასრულა. იმერლებმა თითქოს მატჩის მიმდინარეობის გაკონტროლება მოახერხეს, მაგრამ 51-ე წუთზე სამტრედიელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ – მთავარმა არბიტრმა ირაკლი კვირიკაშვილმა, მიხალიოვთან უხეშობისთვის ივან ფატიჩი გააძევა. შავიზღვისპირელებმა რიცხობრივი უპირატესობით მალევე ისარგებლეს. ზურაბ არზიანის პასის შემდეგ, ლუკა იმნაძემ გაუტანა ილია სტურუას.

დარჩენილ დროში, ორივე გუნდის მცდელობების მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

საბოლოოდ, 2:2 და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 13 | 10 | 0 | 3 | 27-11 | 30 |
| 2.დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 24-12 | 26 |
| 3.დილა | 13 | 6 | 6 | 1 | 26-15 | 24 |
| 4.ჩიხურა | 13 | 6 | 4 | 3 | 22-14 | 22 |
| 5.ტორპედო | 13 | 5 | 3 | 5 | 16-13 | 18 |
| 6.რუსთავი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 7.ლოკომოტივი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 8.კოლხეთი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-30 | 13 |
| 9.სამტრედია | 13 | 1 | 6 | 6 | 8-15 | 9 |
| 10.სიონი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-23 | 9 |

# მგზავრების ისტორიული მედალი

**რუსთავი-მგზავრები 76:79**

**(20:17, 17:13, 18:21, 21:28)**

საკალათბურთო კლუბი მგზავრები სუპერლიგის ბრინჯაოს მედლების მფლობელია. ბუბა ბერიშვილისა და ნიკა ცინცაძის გაწვრთნილმა გუნდმა მესამე ადგილისთვის მატჩში რუსთავი დაძაბულ ბრძოლაში – 79:76 დაამარცხა და არსებობის ისტორიაში საპრიზო ადგილი პირველად დაიკავა.

არადა, მგზავრებს დიდი ისტორია არც აქვს: კლუბი თავდაპირველად არმია-მგზავრების სახელით გამოდიოდა, თუმცა ბოლო 3 სეზონია, გამოეყო თავდაცვის სამინისტროს და სუპერლიგაში თავისი, დამოუკიდებელი ისტორია წამოიწყო, რომელიც პირველი მედლით გაამდიდრა.

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართული მატჩი ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ზოგადად, ნახევარფინალში წაგებული გუნდები ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან მესამე ადგილისთვის მატჩს, თუმცა ბოლო წლებში ასეთი მიდგომა შეიცვალა და გუნდები დიდი მობილიზებით ხვდებიან ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩს. ამის ნათელი მაგალითი დღევანდელი შეხვედრა იყო: ორივე გუნდი მაქსიმალურად მოტივირებული გახლდათ და ბრძოლაც ბოლო წამებამდე გაგრძელდა.



შეხვედრის უდიდესი ნაწილი რუსთაველები ლიდერობდნენ. პირველი პერიოდის 20:17 მოგების შემდეგ, ქვემოქართლელებმა დიდი შესვენებისთვის ლიდერობა 7 ქულამდე გაზარდეს – 47:40. მგზავრების მოთამაშეები სწრაფი შეტევებით ცდილობდნენ სხვაობის გაბათილებას და ერთ ეპიზოდში მინიმუმამდეც შეამცირეს ჩამორჩენა, თუმცა მესამე პერიოდის ბოლოს ქვემოქართლელებმა ლიდერობა კვლავ 4 ქულამდე გაზარდეს.

ბოლო პერიოდში ქულა-ქულაში თამაში წავიდა, თუმცა რუსთავი ადამ ბლეიზეკის დირიჟორობით ლიდერობას არ თმობდა. ნავსი ბოლოსწინა წუთზე გატყდა, როცა მგზავრების კალათბურთელებმა სწრაფ შეტევებს ზუსტი შორი სროლები შეუთავსეს. ბოლო წუთზე ბერიშვილის გუნდმა 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, რომელიც ტაირელ ნელსონმა ერთ შეტევაში მოპოვებული 3 ქულით მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა ოთარ ფხაკაძემ 1 საჯარიმო ჩააგდო და მგზავრები შეხვედრის დასრულებამდე 15 წამით ადრე 2 ქულით გალიდერდნენ. გადამწყვეტი შეტევა რუსთაველებმა გააცუდეს – სამქულიანი ვერც ბლეიზეკმა ჩააგდო და ვერც ბრაიან ბერნარდიმ და ფარიდან მოხსნილი ბურთის შემდეგ მგზავრებმა გამარჯვება და ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.

გამარჯვებულებს 19 ქულით ირაკლი ალხანაიძემ ულიდერა. 18 ქულა დააგროვა ადრიან ბოუიმ. ტეილორ სტეფორდის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა. რუსთაველთაგან 25 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ტაირელ ნელსონი. ადამ ბლეიზეკმა 13 ქულა, 10 მოხსნა და 7 პასი მიითვალა.

## შედეგები

**26 მაისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

რეალი-ლივერპული ........................ 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**ფლეი ოფი. ფინალი**

ფულემი-ასტონ ვილა ...................... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ბრნო ................................... 2:0

ბოჰემიანსი 1905-სპარტა ............... 0:0

იიჰლავა-კარვინა ........................... 0:2

დუკლა-პლზენი .............................. 1:5

ზლინი-ლიბერეცი .......................... 3:1

სიგმა-ბოლესლავი ......................... 3:0

ტეპლიცე-სლავია ........................... 0:3

იაბლონეცი-სლოვაცკო .................. 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ნორჩიოპინგი ......................... 3:3

ესტერსუნდი-ჰაკენი ....................... 2:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვოლერენგა-ლილესტრიომი .......... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ტპს .................................... 2:0

ინტერი-როვანიემი ........................ 3:3

კუუპიო-კემი ................................... 2:3

ლახტი-ვაასა ................................... 1:1

სეინეოკი-მარიეჰამნი ..................... 1:1

ჰიკი-ჰონკა ..................................... 3:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბრიტანელმა მგლებთან ერთად ყმუილით მეზობლები გადარია

მგლების ხროვასთან ერთად მცხოვრები ბრიტანელი იძულებული გახდა, მეზობლების მრავალრიცხოვანი ჩივილების გამო სხვაგან გადასახლებულიყო.

შონ ელისი დევონის საგრაფოს ქალაქ კომ მარტინში მეუღლესთან და რამდენიმე მგელთან ერთად ცხოვრობდა. მან ისინი იპოვა და თავადვე გამოზარდა.

– მე მათთან ორწელიწადნახევარი კვირაში შვიდი დღე ვცხოვრობდი და მათსავით ყმუილი ვისწავლე, რათა თავიანთ ხროვაში მიველე. თუმცა იმისთვის, რომ მათთან დავრჩენილიყავი, ყოველდღე მიწევდა იმის დამტკიცება, რომ მათთან ყოფნას ვიმსახურებდი, – განაცხადა მამაკაცმა.



მიუხედავად ცხოველებთან მეგობრობისა, ელისი არაერთხელ დაშავდა მათთან თამაშის დროს.

– ისინი მუცელში თავს მირტყამდნენ, რის გამოც შინაგანი ორგანოების პრობლემები დამეწყო, მკბენდნენ და თავში ისე ძლიერად მირტყამდნენ, რომ გონებასაც კი ვკარგავდი. ვიცი, რომ ამას ისინი სიბოროტით არ აკეთებდნენ, მაგრამ ჩემი ერთი შეცდომა საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა, – დაამატა ბრიტანელმა.

ახლა უკვე ელისი მგლებთან ერთად კორნუოლის საგრაფოში განცალკევებით ფერმაში ცხოვრობს, აქ მან ორგანიზება გაუკეთა მგლების ქცევის შემსწავლელ კვლევით ცენტრს.

# უდანაშაულო ამერიკელს 18 წლის ციხეში გატარებისა და გათავისუფლების შემდეგ ისევ საპატიმროში დაბრუნება სურს



აშშ-ში 18-წლიანი შეცდომით პატიმრობის შემდეგ გათავისუფლებულმა მამაკაცმა განაცხადა, რომ სურს, პატიმრებს მასწავლებლად დაუბრუნდეს.

ჯონ ბანი, რომელიც ნიუ იორკის კრიმინალური რაიონის ბრუკლინის მკვიდრია, ციხეში 1991 წელს 14 წლის ასაკში მკვლელობის ბრალდებით მოხვდა. 2009 წელს ის ციხიდან გაათავისუფლეს სამაგალითო ყოფაქცევისთვის, ხოლო 2018 წლის მაისში მას ყველა ბრალდება მოუხსნეს, ვინაიდან დაამტკიცეს, რომ დეტექტივი ლუის სკარსელი, რომელიც მის საქმეს აწარმოებდა, თავად იგონებდა ჩვენებებს და ზეწოლას ახორციელებდა მოწმეებზე.

– როდესაც ეს ყოველივე შემემთხვა, კითხვა არ ვიცოდი. ახლა ვხვდები, თუ როგორი გავლენა იქონია ამან ჩემს საქმეზე. ვფიქრობდი, რომ სასამართლო დამეხმარებოდა, სინამდვილეში კი მხოლოდ მაზარალა, – განმარტა ბანმა.

მან წერა-კითხვა ციხეში დამოუკიდებლად ისწავლა, რათა საკუთარი თვითშეგნება აემაღლებინა და წინსვლის სტიმული ჰქონოდა.

– მე ცოდნის დაუფლების პროგრამა დავიწყე, რათა ციხეში დავბრუნდე, ვინაიდან მივხვდი, რომ ჩემ გარდა კიდევ მრავალი აღმოჩნდა ასეთივე სიტუაციაში. ჯოჯოხეთი გავიარე, მაგრამ, სამაგიეროდ, ღმერთმა ოცნება მაჩუქა, – დაამატა ბანმა.

# ნარკოტიკებით გაბრუებული მამაკაცი ქალის საცვლებში გამოეწყო და კარტოფილის აბაზანა მიიღო

დიდ ბრიტანეთში გაასამართლეს მამაკაცი, რომელიც ქალის საცვლებში გამოწყობილი ხუთი დღის განმავლობაში იღებდა ნარკოტიკებს, ხოლო აბაზანა კარტოფილით გაავსო.

ჰემპშირის საგრაფოში ქალაქ ისტლის სასტუმროს თანამშრომლებმა, რომელშიც 30 წლის ჯეიმს ჯონსონი ცხოვრობდა, მისი ნომრიდან გამომავალი ჰაშიშის სუნი იგრძნეს და პოლიცია გამოიძახეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ მამაკაცი ქალის ტანსაცმლითა და კარტოფილის ტომრით ნახეს.



როდესაც პოლიციელები ნომერში შევიდნენ, ჯონსონი, რომელსაც მკერდზე ქალის ლიფი ეკეთა, კარტოფილით სავსე აბაზანაში იჯდა. ჩხრეკის შედეგად მას სხვადასხვა სახის აკრძალული ნივთიერებები უპოვეს, მათ შორის ექსტაზი და ფსიქოტროპული საშუალებები. სახლში, რომელშიც მამაკაცი ცხოვრობდა, ასევე აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალებები.

როგორც გაირკვა, ჯონსონი მშობლიურ ქალაქში რამდენიმე მეგობართან ერთად ჩავიდა. ისინი ისტლიში ერთი დღით დარჩენას გეგმავდნენ, მაგრამ გაერთნენ და ხუთი დღის განმავლობაში მოიხმარდნენ ნარკოტიკებს.

– იმ დროს მეგონა, რომ ეს სწორედ ის იყო, რაც მჭირდებოდა, – განმარტა ჯონსონმა სასამართლოზე.

მისი აღიარებით, მან ადრევე შეიძინა ნარკოტიკები, რაშიც 750 ფუნტი გადაიხადა. სასამართლომ მას 18-თვიანი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება მიუსაჯა და ცხრათვიანი ნარკოტიკების სამკურნალო კურსის გავლა დააკისრა. მისი მეგობრების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# შავკანიანი ამერიკელი შავკანიანების შეურაცხყოფისთვის დაისაჯა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ან-არბორში შავკანიან მამაკაცს რასისტული შინაარსის ნახატებისთვის, რომელსაც ის აღმოსავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტში ხატავდა, ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

სასამართლომ დაადგინა, რომ 29 წლის ედი კერლინმა ვანდალიზმისთვის ორი ათასზე მეტი დოლარი უნდა გადაიხადოს. გარდა ამისა, მას სხვა დარღვევებისთვის ორიდან ხუთ წლამდე პატიმრობა მიესაჯა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველი შეურაცხმყოფელი შინაარსის ნახატი 2016 წლის სექტემბერში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის კედელზე აღმოაჩინეს. ის შედგებოდა ასოებისგან „კკკ“ („კუკლუქს-კლანის“ შემოკლებული აღნიშვნა) და მუქარის სიტყვები შავკანიანი სტუდენტების მისამართით. ერთი თვის შემდეგ მარტინ ლუთერ კინგის ძეგლის მახლობლად, რომელიც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს, გაჩნდა იმავე შინაარსის წარწერა, რომელშიც აფროამერიკელთა შეურაცხმყოფელი სახელი იყო ნახმარი. 2017 წლის გაზაფხულზე კაცების ტუალეტში მესამე რასისტული წარწერა აღმოაჩინეს.



უნივერსიტეტის პოლიციამ მოახერხა გამოერკვია, რომ სამივე წარწერა კერლინს ეკუთვნოდა. ის აღმოსავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტში 2014 წლიდან სწავლობდა, მაგრამ სწავლა 2016 წლის დასაწყისში მიატოვა კანონთან მიმართებით წარმოქმნილი პრობლემების გამო. მას იმედი ჰქონდა, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ავტორის ძებნაში დახმარების აღმოჩენისთვის მას ბრალდებებს მოუხსნიდნენ და უნივერსიტეტში დაბრუნების უფლებას მისცემდნენ, მაგრამ მისმა გეგმამ არ გაამართლა და ის ციხეში მოპარულის შენახვისთვის აღმოჩნდა, ხოლო წარწერების გამოძიების დასრულების შემდეგ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების სიას ვანდალიზმის ბრალდებაც დაემატა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. ვივიენ ...; 2. ჭრილობა; 3 ქრისტეს გამყიდველი; 4. ... ბოლდუინი; 5. ნატვრის გამომხატველი შორისდებული; 6. კედლის ჭაღი; 7. „დაისის“ პერსონაჟი; 8. შტატი აშშ-ში; 9. სისხლის შენადედი; 10. ძველებური ეტლი; 11. ისტორიისა და პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 12. სოფელი რაჭაში; 13. ქალიშვილს გატანებული ქონება მისი გათხოვებისას; 14. ... კრუზი; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. ფსიქიკური დაავადება; 17. ძველფრანგული ვერცხლის და ოქროს ფული; 18. ...ხაიამი; 19. ტყის მსხალი; 20. ტაბლეტი; 21. მუხის ნაყოფი; 22. ამონი; 23. ნაქსოვი ბურთულაკი ბავშვის ქუდზე; 24. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 25. ალპინისტის ფეხსაცმელი; 26. მოჩვენებითი ბრწყინვალება; 27. კუნთზე მიმანიშნებელი წინსართი; 28. „ეზოში ავი ძაღლია“-ს პერსონაჟი; 29. ფიზიკის ნაწილი; 30. ფულის მისაღები თამასუქი; 31. ერთ-ერთი სისხლძარღვი; 32. ... ვაიკულე; 33. პროსპერ ...; 34. ინგლისური ლუდი; 35. ანტილოპა; 36. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში.

## სპორტი

# რეალი ჩემპიონთა ლიგის მფლობელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„წითლების“ მეკარე დიდი საიმედოობით არც მანამდე გამოირჩეოდა, მაგრამ რაც ფინალში გააკეთა, ყოვლად გაუმართლებელია. კარიუსი აშკარად ვერ აღმოჩნდა მზად ასეთი დონის თამაშისთვის.

ლივერპულის შანსებმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწია, როდესაც ტრავმის გამო მოედანი მომო სალაჰმა დატოვა. ამ მომენტისთვის ანგარიში არ იყო გახსნილი და ლივერპული უფრო მწვავედ და სიმპათიურად თამაშობდა. მისი გასვლის შემდეგ კი, რეალი უფრო თამამად ათამაშდა. სალაჰის ტრაგედიას თან დაერთო კარიუსის დრამა, რომელმაც პირველი ბურთი პირადად აჩუქა მადრიდელებს.

სადიო მანემ ლივერპულს იმედი ჩაუსახა, მაგრამ ამ დროს ავანსცენაზე გამოჩნდა ბეილი და...

უელსელმა შედევრი შექმნა, შემდეგ იყო კარიუსის კიდევ ერთი საცირკო ნომერი და ჩემპიონთა ლიგის თასი კიდევ ერთხელ მიდის მადრიდში, ხოლო რეალი ისტორიაში შედის. მინიმუმ 3 წელი მის რეკორდს ვერავინ გააუმჯობესებს.

იურგენ კლოპის სიმპათიურ გუნდზე ნამდვილად გული გვწყდება. ძალიან ღირსეული გუნდია, რომელსაც აკლია მეკარე და გამოცდილება. იმედია, კლოპს მესამედაც მიეცემა შანსი, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **გარეთ ბეილი**

კარგად გვესმის, რომ ამ ყველაფრის „შემოქმედი“ კარიუსია, მაგრამ დადებითი კუთხით გვინდა შევხედოთ და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ბეილი დავასახელოთ. უელსელმა ისეთი გოლი გაიტანა, რომელშიც კარიუსს არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

**ზინედინ ზიდანი:**

– მთავარი ჩვენი საერთო მიღწევაა. მოთამაშეები საუკეთესო სიტყვებს იმსახურებენ. დამიჯერეთ, ამის გაკეთება ძალიან ძნელია. მომხდარის სიტყვებით აღწერა რთულია. რასაც ახლა ჩემი ფეხბურთელები აღწევენ, წარმოუდგენელია. ეს სიამოვნებაა. ამ გუნდში ყველაზე მშვენიერი ის არის, რომ მას რაღაც ზღვარი არ აქვს. გამარჯვება და ტიტულების მოპოვება ყოველთვის მსურს. ლა ლიგაში ჩატარებული სეზონით და თასზე გამოსვლით უკმაყოფილო ვართ. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რასაც კიევში მივაღწიეთ. ამის აღსაწერად სიტყვები არ მყოფნის. სამწვრთნელო საქმიანობა ახლა დავიწყე და ბიჭებთან ერთად წარმოუდგენელ მომენტებს განვიცდი. ასეთი რამ უნდა იზეიმო. არ დაგავიწყდეთ, რა გზა გავიარეთ – ფინალამდე პსჟ, იუვენტუსი და ბაიერნი დავამარცხეთ. ფინალში ლივერპულს ვაჯობეთ, რომელმაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა... არავითარი საიდუმლო არ გვაქვს – შედეგი მძიმე და მომქანცველი შრომაა. ფეხბურთელები ძალიან ბევრს შრომობდნენ და ახალ ტიტულებს მოწყურებულნი იყვნენ, რაც დაამტკიცეს.

**იურგენ კლოპი:**

– მსურს, რეალს გამარჯვება მივულოცო. სალაჰის ტრავმა მნიშვნელოვანი მომენტი იყო. ვიცი, ჩემი სიტყვები შესაძლოა ბევრმა თავის მართლებად მიიღოს, მაგრამ ასეა... მისი დაკარგვის შემდეგ გუნდს შესამჩნევი შოკი ჰქონდა. თამაშის სადავეები ცოტა ხელიდან გავუშვით, მაგრამ შემდეგ გამოვასწორეთ. ამას პირველი გოლი მოჰყვა, რომელიც საკმაოდ უცნაური იყო. თუმცა, ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე და საბოლოოდ 1:3 წავაგეთ. ბეილის გამოსვლა გადამწყვეტი აღმოჩნდა – ფანტასტიკური გოლი გაიტანა. ფეხბურთში ასე ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ გიმართლებს, ზოგჯერ არა. ამჯერად ჩვენ არ გაგვიმართლა და იღბალმა ზურგი შეგვაქცია. რაც არ უნდა ვთქვათ, შედეგი მაინც არ შეიცვლება. პირველ ტაიმში სერიოზული ოპონენტები ვიყავით. კარგ ფეხბურთსა ვაჩვენებდით, ბურთს ვაკონტროლებდით, შეტევების მიმართულებას ვცვლიდით, მომენტებს ვქმნიდით. საბოლოოდ დავმარცხდით და 10 წლის მერე არავინ გაიხსენებს როგორ წავაგეთ. ისეთ ვითარებაში ყოფნას, როგორშიც კარიუსია, არავის ვუსურვებ. ორიოდე სიტყვა ვუთხარი, რადგან ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის. შეცდომა რომ დაუშვა, მან თავადაც იცის, მეც ვიცი და თქვენც იცით. მისი საღამო ნამდვილად არ იყო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი 28 მაისისათვის



**ვერძი** – გამორჩეული დღეა შემოქმედებითი კუთხით. ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. **კურო** – დაისვენეთ და გაერთეთ. საქმე არსად გაგექცევათ. **ტყუპები** – ჯენმრთელობას გაუფრთხილდით. დისკომფორტი გაქვთ სამსახურში. **კირჩხიბი** – ხალხმრავალ ადგილებში ნუ გამოჩნდებით. ზედმეტი აურზაური და ხმაური გავნებთ. **ლომი** – ეცადეთ, ცხოვრებისგან მეტი სიამოვნება მიიღოთ. ამაში საყვარელი საქმის კეთება დაგეხმარებათ. **ქალწული** – დაუფიქრებელ ნაბიჯს პრობლემები მოჰყვება. იფრთხილეთ დოკუმენტებზე ხელმოწერისას. **სასწორი** – საოჯახო საქმეები დღესვე მოაწესრიგეთ. არ ღირს წვრილმანებზე ჩაციკვლა. **ღრიანკალი** – სიმშვიდე და ლმობიერება დღის დევიზია. ნუ იქნებით კატეგორიული. **მშვილდოსანი** – თქვენი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება დაფასდება. შესაძლოა დაგაწინაურონ. **თხის რქა** – ფორტუნა გიღიმით. წარმატება გელით ნებისმიერ საქმეში. ფული არ გაფლანგოთ. **მერწყული** – თქვენს საქმეში ნურავის ჩარევთ. დამოუკიდებლად იმოქმედეთ. **თევზები** – მშვიდი დღეა. ნერვებს არავინ გიშლით. საშუალება გეძლევათ, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტრიესტი; 2. სამაია; 3. კატეხიზმო; 4. კეხურა; 5. გერმანია; 7. მასა; 11. ტანკერი; 13. პაროდია; 15. ოკაცე; 16. ბზიფი; 18. ნარმა; 19. ლისტი.

**თარაზულად:** 6. რეიმსი; 8. საიგაკი; 9. ლახვარი; 10. საფანტი; 12. ზაქსი; 14. კავანი; 17. მირანგულა; 20. აგევზია; 21. უცნობი; 22. მოსტრა; 23. პირამიდა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბუსოლი; 2. ფეოდალი; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. შემოქმედი; 9. დუბლიკატი; 11. ჩაკრულო; 12. ლისი; 14. იდეა; 16. კაპილარი; 17. რიგოლეტო; 19. ქოქოსი; 21. კობრა.

**თარაზულად:** 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. წითელი; 13. ბებუთი; 15. ესტრადა; 18. გაბენი; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. პროტესტი.

## ოპერაციის შემდეგ ქალი გონს უცნობ ადგილზე მოვიდა

ამერიკელმა ქალბატონმა ისაუბრა კოსმეტიკურ პროცედურაზე, რომლის შემდეგაც ის გონს მისთვის უცნობ სასტუმროში მოეგო, ხელში კი ბურგერი ეჭირა.



მიტცი მაკფარლენდის თქმით, მან და მისმა დამ მიმართეს, რომელიც ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მსახურობს, დერმატოლოგ დევის-ბაუნტს. მათ ზედმეტი ცხიმის ლაზერით მოშორება შეუკვეთეს, ამის ნაცვლად კი დევის-ბაუტმა მათ ჩვეულებრივი ლიპოსაქცია გაუკეთა.

მაკფარლენდი ამტკიცებს, რომ ოპერაციის შემდეგ მისი მუცელი საშინელებათა ფილმების მსგავს პერსონაჟს მოაგონებდა. ამის მიუხედავად, ის იმავე ექიმთან დაბრუნდა დამატებითი პროცედურის ჩასატარებლად. დევის-ბაუნტი მას დაჰპირდა, რომ ძლიერმოქმედ ნარკოზს არ გამოიყენებდა. 18 საათის შემდეგ ქალი გონს დერმატოლოგის ოფისის შორიახლოს მდებარე სასტუმროში მოვიდა, ხელში კი „მაკდონალდსის“ ბურგერი ეკავა.

ქალი აპირებს, დერმატოლოგს სასამართლოში უჩივლოს. ექიმის წინააღმდეგ სარჩელი კიდევ რამდენიმე ადამიანმა შეიტანა. ერთ-ერთი მათგანი სარეკლამო ვიდეოს შეეხება, რომელიც ექიმმა იუთუბიზე გამოაქვეყნა. მასში ის ცეკვავს და პოპულარულ სიმღერებს ასრულებს გაუნძრევლად მწოლიარე შიშველი პაციენტების გვერდით.

## ქალიშვილი მამას დედად გახდომაში დაეხმარა

ტრანსგენდერმა ამერიკის ინდიანის შტატიდან ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა საკუთარი რვა წლის ქალიშვილი ქალად გახდომაში.



2010 წელს სტეფანი დოგერტის, რომელიც იმ დროს მაიკლი იყო, შეეძინა გოგონა, ზევაია. ეს ყველაფერი ქალთან მისი პირველი სიახლოვის შედეგად მოხდა. მას მამად გახდომა ძალიან გაუხარდა და ბავშვი თავისთან დაიტოვა.

— ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. მე მას ვუხსნი, რომ ყოველთვის თავს უფრო დედად ვგრძნობდი, ვიდრე მამად, — ასეთი კომენტარი გააკეთა ტრანსგენდერმა საკუთარ ქალიშვილთან ურთიერთობის შესახებ.

მაიკლმა სქესის შეცვლის სურვილი 2017 წლის სექტემბერში გამოთქვა. ის საკუთარ შვილს ამ აღიარებისთვის თანდათან ამზადებდა, ბოლოს კი გოგონას ყველაფერი გულახდილად უთხრა. ისიც ამ ამბავს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა და მაშინვე „მამის“ ნაცვლად „დედა“ დაუძახა.

უახლოეს მომავალში დოგერტი სქესის შესაცვლელად სრულფასოვანი ოპერაციის გაკეთებას გეგმავს.

## ამერიკელები ზომბების თავდასხმის შესახებ გააფრთხილეს და დენი გაუთიშეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიკ უორტის მცხოვრებთ ზომბი-აპოკალიფსის თაობაზე ექსტრემალური გაფრთხილება დაუგზავნეს.



ინციდენტი კვირა საღამოს მოხდა, დასახლებულ პუნქტში ელექტროენერგიის გათიშვის დროს. ხელისუფლების მტკიცებით, ასეთი ინციდენტების დროს მცხოვრებლებისთვის შეტყობინებების დაგზავნა ავტომატურად ხორციელდება. ამასთან, ყოველი შემთხვევისთვის, ცალკე შეტყობინების გაგზავნა ხდება.

— ვიღაცამ შესწორება შეიტანა და გამოვიდა ის, რაც ვნახეთ. ვიღაცამ ზომბების შემოჭრაზე შეტყობინება დაამატა, — განაცხადა მერიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბერ კერმა და იქვე განმარტა, რომ ამასთან არაფერ კავშირში არ არიან არც ამჟამინდელი და არც ადრე გათავისუფლებული თანამშრომლები.

მისი თქმით, ამჟამად შეტყობინებების სისტემა გამორთულია, ქალაქმა კი მომხდარის საკუთარი გამოძიება დაიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მანანა აბრამიშვილი ჭარბვალიანობის ინიციატივას იწონებს



რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი მთავრობის გადაწყვეტილებით ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით აღფრთოვანებულია:

— ძალიან მომეწონა და მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით.?ძლივს ხალხზე ფიქრი დაიწყო მგონი. ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა განახევრებული პროცენტები და საუკეთესოა, რომ მევახშეები და ლომბარდები ვეღარ დაილომბარდებენ ვერც ავტომობილებს, ვერც უძრავ ქონებას. იქნებ გაუქმდეს კიდეც ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც ძალიან დიდ პროცენტს იღებენ და ხალხი გააღარიბეს!

## ბრაზილიაში ქართული ანბანის სამი სახეობა გამოიფინა



ბრაზილიის ბანკის კულტურულ ცენტრში უნიკალური ქართული ანბანის სამი სახეობა გამოიფინა. ექსპოზიციაზე ნაჩვენები იქნა ვიდეორგოლი ქართული ანბანის შესახებ.

ღონისძიება ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნების 100 წლის იუბილეს ფარგლებში ჩატარდა.

გამოფენას ბრაზილიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქვეყნის კულტურული და საგანმანათლებლო წრეების, ასევე ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამოფენის ფარგლებში დამთვალიერებლებს ქართული ღვინისა და ტრადიციული ქართული ტკბილეულის დაგემოვნების შესაძლებლობა მიეცათ.

## გეგა ფალავანდიშვილმა მამას დაბადების დღეს ორიგინალურად მიულოცა



გეგა ფალავანდიშვილის მამა, რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი, 26 მაისს არის დაბადებული. მან იუბილარ მამას დაბადების დღე ორიგინალურად მიულოცა:

— მამაჩემის დაბადების დღეა, კაცის, რომელმაც თქვენ გაჩუქათ „რაჭა ჩემი სიყვარული“ და „მზე შემოდგომის“, და კიდევ ბევრი რამ, მე კი მაჩუქა ყველაფერი ის, რაც ამ ფილმებში ვერ ჩაეტეოდა: თავისუფლება, დამოუკიდებლობა და პატივისცემა.

რაც თავი მახსოვს, ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყო, თუმცა ამ დღის აღნიშვნას დავიწყებ მაშინ, როცა ხალხი მართლა დამოუკიდებლად დაიწყებს ფიქრს, თავისუფალი იქნება ნებისმიერ არჩევანში და პატივს სცემს ერთმანეთს. მანამდე კი ჩემთვის 26 მაისი მხოლოდ მამაჩემის დღეა.

გილოცავ, მა. მთავარია, ჯანზე იყავი, თორემ, ხალისი რომ არ მოგაკლდება არასოდეს, კი ვიცი.

ისე, მე „თეთრი ქვები“ მომწონდა ყველაზე მეტად ყოველთვის.

## ანსამბლი „ივერია“ 50 წლისაა



ლეგენდარულ ანსამბლ „ივერიის“ დაარსებიდან 50 წლის გავიდა. „ჩხიკვთა ქორწილი“, „არგონავტები“, „ფიროსმანი“ — ეს იმ მიუზიკლების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ანსამბლმა ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში შექმნა. „ივერიის“ იუბილე მისმა წევრებმა ერთად შეკრებით აღნიშნეს და თან ეს თარიღი კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას დაბადების დღეს დაამთხვიეს.

ალექსანდრე ბასილაია ქართული ესტრადის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

მომღერალმა ნუცა შანშიაშვილმა ალექსანდრე ბასილაიას გაიხსენა და ინტერნეტში მისი ბოლო ნამუშევარი გამოაქვეყნა, რომლისთვისაც ტექსტი თავად შექმნა:

— ალექსანდრე ბასილაია დიდებული კომპოზიტორი, პიროვნება, მეგობარი... ბოლო ნამუშევარი, უმშვენიერესი სიმღერა შევქმენით მე და ბუთხუზმა მოსკოვში. მის გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე... მახსოვს მისი ღიმილი და აღფრთოვანება, როდესაც ვწერდით... მარადიული ხსოვნა...

## ხატია ბუნიათიშვილი, ანიტა რაჭველიშვილი, ლიზა ბათიაშვილი, ნინო გვეტაძე — ევროპული პრესა ქართველი ხელოვანებით აჭრელდა



ანიტა რაჭველიშვილი, ხატია ბუნიათიშვილი, ლიზა ბათიაშვილი, ნინო გვეტაძე უცხოეთში მოღვაწე ის ქართველი ხელოვანები არიან, რომლებმაც საქართველოს სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადეს.

პიანისტი ნინო გვეტაძე სიამაყით წერს, რომ ევროპული პრესა ქართველებით არის აჭრელებული:

— ბოლო წლების განმავლობაში უკვე რამდენჯერ შემინიშნავს მსგავსი სურათი, გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეზიარებინა: ჩემმა ჩამწერმა კომპანიამ კიდევ ერთი, ამჯერად ესპანური ჟურნალი გამომიგზავნა ჩემი დისკის რეცენზიით, მაგრამ კიდევ უფრო ალბათ ის გამიხარდა, რომ ჟურნალის სხვა გვერდებზე ლიზას, ანიტასა და ხატიას დისკებზე თუ კონცერტებზე წერენ!

მსგავს სიტუაციას გადავაწყდი, როდესაც სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი გერმანული ჟურნალი გადავშალე...

ძალიან მეამაყება და იმედი მაქვს, ევროპული პრესა კიდევ უფრო აჭრელდება სტატიებით ქართველ მუსიკოსებზე!

## გიორგი სუხიტაშვილი ავარიაში მოყვა



მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ავარიაში მოყვა. შემთხვევა ავტობანზე მოხდა, როდესაც მომღერალი ახალციხეში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მიდიოდა.

ინფორმაცია და ფოტოები მომღერალმა თავად გაავრცელა:

— ასე მომილოცა ვინმე დავითმა 26 მაისი ავტობანზე... მე მგონი, მცირე ტვინის შერყევა მაქვს, თუმცა კონცერტს მაინც ჩავატარებ.

## ანრი ჯოხაძე „იქს ფაქტორის“ მეხუთე მენტორია



მომღერალი ანრი ჯოხაძე მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორში“ მეხუთე მენტორი იქნება. სტეფანესთან, ნანიკო ხაზარაძესთან, თამთა გოდუაძესთან და დათო ევგენიძესთან ერთად ანრი კონკურსანტებთან იმუშავებს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ანრი პროექტის პროდიუსერებმა შოუში 2 სკამის ტურიდან ჩართეს და მას თავისი გუნდისთვის საუკეთესო კონკურსანტების შერჩევა მოუწევს.

## გიორგი პაპკიაური ჟურნალისტებმა გაანაწყენეს



მომღერალი გიორგი პაპკიაური ჟურნალისტებმა გააბრაზეს:

— ძალიან დიდი თხოვნით — ყველა ჟურნალისტს დიდ პატივს ვცემ, ბევრი მეგობარიც მყავს და, ერთი შემთხვევის გარდა, არასოდეს მქონია ჟურნალისტთან კონფლიქტი, მიყვარხართ და ვაფასებ თქვენს შრომას!

ძალიან გთხოვთ, ნებართვის გარეშე ნუ მიგაქვთ ჩემი ველიდან სტატუსები და სულ სხვა ინტერპრეტაციით ნუ აქვეყნებთ! უამრავი საინტერესო რამე ხდება ჩემს ცხოვრებაში, კარიერაში, პირადში და ა.შ... ხომ შეიძლება, ეს სიახლეები გაავრცელოთ? თუ აუცილებელია სკანდალური სათაურით გამოქვეყნებული ნიუსები?

ახლა ვიმყოფები ევროპაში, მაქვს კონცერტები, ასევე დაგეგმილია საფრანგეთში სერიოზული ღონისძიება, რომელსაც ფრანგი მუსიკოსებიც დაესწრებიან... ეს არ არის საინტერესო?

ბოლოს და ბოლოს, ქართული ენის პოპულარიზაციას ემსახურება ეს ყველაფერი და სიკეთეს, რადგან ტურნეს ბოლოს ჩემი დიდი სურვილია, ორ რთულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს დავეხმარო!

პ.ს. ასე გააცანით ჩემი თავი ხალხს და არა უაზრო, სკანდალური და დაბალი დონის ნიუსებით!

ერთმანეთის ლანძღვა, დაჭმა და ზიზღი არ გვაკლია ისედაც, სიკეთე და სიყვარული გააღვივეთ ხალხში!

## ლევან ღვინჯილიას ხელოვნების ქურუმი მიანიჭეს



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავისა და „აფხაზეთის დღესთან“ დაკავშირებით შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ საანგარიშო-საიუბილეო კონცერტი გაიმართა. 2018 წელს ანსამბლ „აფხაზეთს“ დაარსებიდან 40 წელი შეუსრულდა.

აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ანსამბლის წევრებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მადლობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადაეცათ, ხოლო კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელ ლევან ღვინჯილიას ხელოვნების ქურუმის ჯილდო გადასცა.

ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო ანსამბლის შექმნის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. საიუბილეო კონცერტზე ანსამბლი „აფხაზეთი“ მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარდგა.

სხვადასხვა ნომინაციაში საპატიო ჯილდოები გადაეცათ ანსამბლის ყოფილ და მოქმედ წევრებს. ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ანსამბლის ვეტერანი წევრები საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით დაჯილდოვდნენ. აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილი მთავარი ქორეოგრაფი, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე თეიმურაზ დარჯანია და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფი, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე სერგო გეგეჭკორი საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალების ორდენით“ დაჯილდოვდნენ.

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლობის დარბაზი გაიხსნა



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლობის დარბაზი გაიხსნა.

**გიორგი კეკელიძე:**

— თამამად შემიძლია ვთქვა, საუკუნის პროექტათაგანი განვახორციელეთ. დამოუკიდებლობის ამბავი რამდენიმე ეპოქას აერთიანებს და არის მძაფრი შეხსენება დამოუკიდებლობის მნიშვნელობის — იწყება მეცხრამეტე საუკუნით, გრძელდება დამოუკიდებლობის წლებით, შემდეგ უკვე ორი 9 აპრილით და თანამედროვე, მავთულხლართებიანი საქართველოთი. გამოფენა მუდმივია და გელოდებით. დარბაზი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და მოლდოვის პარლამენტის თავმჯდომარე ანდრიან კანდუსთან ერთად გავხსენით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4805 |
| ევრო | — 2.9044 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3087 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.0050 |

## ამინდის პროგნოზი 28 მაისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

### 18 მაისიდან
ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

### 25 მაისიდან
დინა რუბინა
**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

### 1 ივნისიდან
ვიქტორ პელევინი
**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

### 8 ივნისიდან
ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, საუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## სერია ნამდვილი დეტექტივი

### 22 მაისიდან
ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

### 29 მაისიდან
ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

### 5 ივნისიდან
გილბერტ ჩესტერტონი
**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

### 12 ივნისიდან
როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ოფიციანტს ღიმილისთვის სამი ათასი დოლარი აჩუქეს




აშშ-ის ლიუისის ოლქში კაფეს მომხმარებელმა ოფიციანტს ზედმეტი სამი ათასი დოლარი გადაუხადა.

დაწესებულების თანამშრომელი მიშელ ბოზმენი, რომელიც 20 წელზე მეტია ოფიციანტად მუშაობს, შოკირებული დარჩა ქვითარზე მითითებული თანხით, რომელიც მას ერთ-ერთმა მომხმარებელმა მაგიდაზე დაუტოვა.

– გაოგნებული ვიყავი და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს სინამდვილე იყო. ქვითარი მენეჯერს ვაჩვენე და მის მეორე მხარეს მინაწერი ვნახეთ, – განაცხადა ბოზმენმა.

– მადლობა იმისთვის, რომ იღიმებით. თქვენ ბევრს შრომობთ, ოლქი კი ცუდ ადგილას მდებარეობს. ისიამოვნეთ ამ თანხით და კიდევ ვინმე გააბედნიერეთ, – ეწერა მომხმარებლის მიერ დატოვებული ქვითრის უკანა გვერდზე.

ბოზმენი ამ თანხით ირლანდიაში გამგზავრებას გეგმავს, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. თავისუფალი სამუშაო ადგილი დაწესებულებაში; 6. ზებრისა და ცხენის ნაჯვარი; 10. წნელით დაწნული მოგრძო ფორმის ჭურჭელი; 11. ბუნების მძლავრი მოვლენა; 12. რამე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი; 17. იატაკის საცხი; 18. მაყურებლის ადგილი თეატრში; 19. გამანადგურებელი ქარიშხალი; 20. ეკრანი.

**შვეულად:** 1. ჩაუკეტავი მრუდი (მათემატ.); 2. ძლიერ შხამიანი გველი; 3. გონების უეცარი დაბინდვა დროებით; 4. სასუნთქი გზების მომწამვლელი ნივთიერება; 7. მსხვილი სამრეწველო საწარმო; 8. უბედურება, ვაი-ვაგლახი; 9. მოკლე დროით რამდენიმე ბანკის გაერთიანება; 13. ოთხკუთხედი; 14. დერეფანი; 15. ხელოვნური ბოჭკო; 16. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და ბელგიაში.

***შეადგინა ოლივერ კოხიამ***




## იუმორი



•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როდესაც ცოლს ეჩხუბები, რას ეძახი?

– ყურცქვიტას.

– ასე მოფერებით სახელს?

– როდესაც კურდღელს შია და საჭმელი არ აქვს, საკუთარ განავალს ჭამს...

– მერე?

– ჩემი ცოლი ზოოლოგია და ეს იცის...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ სექსში სპრინტერი ხარ თუ მარათონელი?

– მე ის ვარ, სტარტზე პისტოლეტს რომ ისვრის.

•••

ყველა ხელისუფლებამ აუცილებლად ყური უნდა უგდოს თავისი ხალხის აზრს.

ამისთვის მას სპეციალური სამსახურები ჰყავს.

•••

ახალგაზრდა კითხულობს:

– უკაცრავად, ხატები გაქვთ?

– არა.

– სანთლები?

– არც ეგ.

– კელაპტარი?

– ახალგაზრდა, ეს ქალაქის საკრებულოა და აქ წმინდა არაფერია!

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– რა ჯანდაბად უყურებ ამ კულინარიულ გადაცემებს? სადილის გაკეთება მაინც არ იცი!

– და შენ რატომ უყურებ პორნოფილმებს?...

•••

ფეხბურთელებმა თავიანთ მწვრთნელს დაბადების დღე მიულოცეს, რაზეც მწვრთნელმა უპასუხა:

– ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი თქვენი გამარჯვებები იქნება.

– გვიანია, უკვე გიყიდეთ ლამაზი ჰალსტუხი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რეალი ჩემპიონთა ლიგის მფლობელია

<u>რეალი-ლივერპული 3:1</u>

**კიევი. ოლიმპიური**

1:0 ბენზემა (51), 1:1 მანე (55), 2:1 ბეილი (61), 3:1 ბეილი (83)

**რეალი:** ნავასი, კარვახალი (ნაჩო 37), რამოსი, ვარანი, მარსელო, კროოსი, მოდრიჩი, კაზემირო, რონალდუ, ისკო (ბეილი 61), ბენზემა (ასენსიო 89)

**ლივერპული:** კარიუსი, ლოვრენი, ვან დეიკი, რობერტსონი, ჰენდერსონი, სალაჰი (ლალანა 31), ფირმინო, მანე, ალექსანდერ-არნოლდი, მილნერი (ჯანი 83), ვეინალდუმი

ევროსეზონი მადრიდული გამოვიდა. ატლეტიკომ ევროპის ლიგა მოიგო, რეალმა – ჩემპიონთა ლიგა.

ერთია, რეალმა თავისივე რეკორდული სვლა გააგრძელა, მოიგო რა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტიტული ზედიზედ მესამედ.

სანახაობრივი მატჩი გამოდგა ფინალი, გარეთ ბეილის გოლი კი ამ ფინალის მშვენება იყო. ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. რეალის დანარჩენი გოლები უფრო კარიუსის შეცდომების შედეგია, ვიდრე მადრიდელთა დამსახურება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

